www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 9 ოქტომბერი, 2012 წელი. | №3131 (224) | ფასი 50 თეთრი

კოალიციის მთავრობა და პარლამენტი

დათო გამისონია

კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც მომავალ პრემიერ-მინისტრად მოიაზრება, გუშინ საზოგადოებას ახალი მთავრობის შემადგენლობის უმეტესი ნაწილი წარუდგინა. მთავრობის გარდა, ივანიშვილმა ის პირები დაასახელა, რომლებიც მე-8 მოწვევის პარლამენტში ძირითად თანამდებობებს დაიკავებენ.

თავდაცვის მინისტრი და ვიცე-პრემიერი "თავისუფალი დემოკრატების" წევრი ირაკლი ალასანია იქნება.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ვანო მერაბიშვილი: სახელმწიფოს საკმარისი თანხები აქვს

2

მომავალ მინისტრებს ვითარების შესწავლაში მოქმედი მთავრობა დაეხმარება

დათო გამისონია

გუშინ მთავრობის კანცელარიაში კოალიცია "ქართული ოცნებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" ოთხეულები ერთმანეთს უკვე მეორედ შეხვდნენ. საუბარი კვლავ დახურულ ფორმატში მიმდინარეობდა. პრეზიდენტის სამუშაო ჯგუფს გიგა ბოკერია, დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა და პავლე კუბლაშვილი წარმოადგენდნენ. კოალიციიდან შეხვედრაში ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი და სოზარ სუბარი მონაწილეობდნენ.

წინასწარ იყო ცნობილი, რომ მხარეები კონკრეტულ სამინისტროებსა და სამსახურებში კოალიციის წარმომადგენელთა წარგზავნის საკითხს განიხილავდნენ. ვიცე-პრემიერობისა და თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ აღნიშნა, რომ კოალიციამ მოქმედი მთავრობის წარმომადგენლებს ჯგუფში შემავალ პირთა სია გადასცა. **"შევთანხმდით, რომ კოალიციის წარმომადგენლები კონკრეტულ უწყებებში მისვლას საღამოსვე დაიწყებენ. ამ ჯგუფებს გადაწყვეტილების მიღების უფლება არ ექნებათ. შეხვედრებსა და კონსულტაციებს გაცნობითი ხასიათი ექნება, რათა უწყებებში შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმირებულები ვიყოთ,"** - ამბობს ირაკლი ალასანია.

პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა დავით უსუფაშვილმა სამუშაო პროცესის დეტალებზე ისაუბრა. **"ყველა სამინისტროსა და აღმასრულებელ უწყებაში კოალიციის წარმომადგენელი მივა. მათ არანაირი ფორმალური სტატუსი არ ექნებათ და გადაწყვეტილების მიღებაში არ ჩაერევიან.**

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ვენესუელის პრეზიდენტად კვლავ უგო ჩავესი აირჩიეს

სალომე ჭანიაშვილი

ვენესუელაში კვირას საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. მასში კვლავ ქვეყნის მოქმედმა ხელმძღვანელმა უგო ჩავესმა გაიმარჯვა. იგი პრეზიდენტად მეოთხე ვადით აირჩიეს. მას მხარი მოსახლეობის 54,42 პროცენტმა (7,4 მილიონი ამომრჩეველი) დაუჭირა. მისმა მთავარმა მეტოქემ, გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერმა ენრიკე კაპრილესმა ხმების 44,97 პროცენტი (6,1 მილიონი) მიიღო. პრეზიდენტობის დანარჩენმა კანდიდატებმა კი ჯამში 1 პროცენტზე ნაკლები ხმა მიიღეს.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6610₾
1 ევრო	2.1610₾
1 ინგლისური გირვანქა	2.6882₾
1 თურქული ლირა	0.9238₾
100 რუსული რუბლი	5.3625₾

თბილისი	26°C - 16°C
ქუთაისი	23°C - 14°C
თელავი	25°C - 10°C
ზუგდიდი	21°C - 13°C
ბათუმი	22°C - 16°C

ნავთობი	3.15	-0.01	-0.19%
გაზი	3.40	+0.01	+0.26%
ოქრო	1,776.40	-4.40	-0.25%
ხორბალი	863.00	+5.50	+0.64%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ნაკრები ემზადება

ბორისა ბასაიძის ფოტო

უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ორ მნიშვნელოვან მატჩს გამართავს, 12 ოქტომბერს - ფინეთში, 16 ოქტომბერს კი - ბელარუსში. ეს ორი მატჩი ჩვენთვის, შესაძლოა, გადამწყვეტიც აღმოჩნდეს - "ხუთჯვაროსანთა" მეტოქეები მათი უშუალო კონკურენტები იქნებიან.

გაგრძელება
მე-11 გვერდზე

გალა - წიგნების აღმოჩენისთვის

ბელა ჩეკურიშვილი

პოლიტიკა რა სახსენებელია, როცა საქმე ლიტერატურას ეხება, მაგრამ საქართველოს პარლამენტის არჩევნებმა, ჯერ სამზადისმა და შემდეგ ფაქტმა, ბევრი მოვლენა გადაფარა. ამიტომ იყო, თბილისის მერიის მიერ დაარსებული ლიტერატურული პრემია "გალას" ნომინანტთა გამოცხადების დღე შეუმჩნევლად შემოგვეპარა და წინასაკონკურსო ვნებათაღელვაც არ გვქონია. ამას დადებითი მხარეც აქვს, ჟიური თავის საქმეს მშვიდად აკეთებს, ნაკლებად ისმის შეურაცხყოფაში გადასული კრიტიკა ჟიურის წევრთა თუ ავტორთა მისამართით და ა.შ.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ვანო მერაბიშვილი: სახელმწიფოს საკმარისი თანხები აქვს

"საქართველოს ისტორიაში პირველად სახელმწიფო ხაზინაში არსებობს 2-მილიარდიანი რეზერვი, ეროვნულ ბანკში კი - 3 მილიარდი. ეს თანხა სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ მომავალმა ხელისუფლებამ, სრულად თუ ვერა, ნაწილობრივ მაინც შეასრულოს ის დანაპირები, რომელიც არჩევნებამდე საქართველოს მოსახლეობას მისცა," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მას შემდეგ, რაც ფინანსთა მინისტრისგან დღევანდელი მდგომარეობით სახელმწიფოს ანგარიშებზე არსებული თანხებისა და ეროვნული ბანკის განკარგულებაში მყოფი საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

საქართველოს მთავრობის კანცელარიაში პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ფინანსთა მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურს საჯაროდ შეხვდა. ამის მიზეზია, როგორც თავად პრემიერ-მინისტრმა განმარტა, გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ქვეყნის ბიუჯეტში "ფული აღარ არსებობს".

ფინანსთა მინისტრის მონაცემებით კი, სახელმწიფოს ანგარიშებზე არსებული თანხების მოცულობა, 2012 წლის სექტემბრის მონაცემებით, უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მეტია და 2 მლრდ ლარს აჭარბებს. კერძოდ, სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე განთავსებულია 920 მლნ ლარი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ანგარიშებზე - 200 მლნ ლარი, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშებზე - 320 მლნ ლარი, ხოლო სახელმწიფო საწარმოების დეპოზიტებზე - 587 მლნ ლარი.

ფისკალურად ჯანსაღია 2013 წლის ბიუჯეტის საპროექტო მონაცემები, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, უკვე წარდგენილია განსახილველად საქართველოს პარლამენტში. კერძოდ, არსებული კანონპროექტით, ბიუჯეტის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 3,5 პროცენტიდან 2,8 პროცენტამდე მცირდება. ამასთან, ბიუჯეტის მოცულობამ საქართველოს ისტორიაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და მისმა ხარჯვითმა ნაწილმა სახელმწიფო ბიუჯეტისთვის - 8.5 მლრდ ლარს, ხოლო ნაერთი ბიუჯეტისთვის 9.0 მლრდ ლარს გადააჭარბა. 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის ზრდა იგეგმება 500.0 მლნ ლარით.

ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, გარდა შიდა რესურსისა, საქართველოს გააჩნია ადეკვატური ოდენობის საერთაშორისო რეზერვები. კერძოდ, 2012 წლის სექტემბრის მონაცემებით, ეროვნულ ბანკში განთავსებული ოფიციალური სარეზერვო აქტივები 2.9 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება.

გარდა ამისა, ფინანსთა მინისტრის განცხადებით, დაბალია ინფლაციის მაჩვენებელი - სექტემბრის მონაცემებით, წლიური ინფლაცია ნულის ფარგლებშია და მისი მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ არის. 2012 წლის დარჩენილ პერიოდში და 2013 წლის განმავლობაში, არსებული პროგნოზებით, წლიური ინფლაცია დაბალი ერთნიშნა მაჩვენებელი იქნება.

მთლიანობაში, ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, ფინანსური კუთხით სახელმწიფოს ძლიერი და მდგრადი პოზიცია გააჩნია, რაც ბოლო წლების განმავლობაში პასუხისმგებლიანი და მომავალზე ორიენტირებული, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შედეგია.

ასე ჩააბარა ვანო მერაბიშვილმა საზოგადოებას ანგარიში ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და ისიც შეახსენა, რის გაკეთებას გეგმავდა ყოფილი მმართველი გუნდი 2013 წელს.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო დაპირება კი ასეთი იყო: 2013 წელს ქვეყნის ბიუჯეტის გაზრდა 500 მილიონი ლარით; 20-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადის შემცირება 18 პროცენტამდე; 450-მილიონიანი სოციალური პროგრამიდან პენსიის გაზრდა 100 დოლარამდე; ჯანდაცვის დაზღვევა 3 მილიონი საქართველოს მოქალაქისთვის; 1000 ლარი ყველა ოჯახისთვის, სადაც დაიბადებოდა მესამე შვილი, ხოლო მეოთხე და შემდგომი ბავშვის დაბადების შემთხვევაში დაწესებული იყო 2000 ლარი; განათლებისთვის გამოყოფილი 640 მილიონი ლარიდან მასწავლებლების ხელფასი გაიზრდებოდა 600 ლარამდე, ხოლო საუკეთესო პედაგოგების ანაზღაურება გახდებოდა 1000 ლარი; მოსწავლეები მიიღებდნენ უფასო სახელმძღვანელობეს, "ნეთბუკებს", კომპიუტერებს; ყოფილი მთავრობის გეგმაში იყო სოფლის მეურნეობის განვითრებისთვის ზრუნვა, ახალი ტრაქტორების, სარწყავების შეძენა და ა.შ. და კიდევ ერთი, საქართველოს მოსახლეობა ვეღარ მიიღებს ყოფილი მმართველი გუნდის დანაპირებ 1000-ლარიან ვაუჩერს ოთხი წლის განმავლობაში.

"ამ დაპირების შესრულებას "ნაციონალური მოძრობა" ვეღარ შეძლებს, მაგრამ ჩვენი გუნდი, პარლამენტში იქნება თუ სხვაგან, ყურადღებას მიაქცევს, რომ ახალმა ხელისუფლებამ მოსახელობას შეუსრულოს ყველა ის დანაპირები, რომელიც წინასაარჩევნოდ მისცა," - განაცხადა ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა და მომავალ ხელისუფლებას წარმატებები უსურვა.

რაც შეეხება ახალ პოლიტიკურ რეალობას და 2013 წლის ბიუჯეტის პროექტს, მისი შემოსავლების ძირითადი ნაწილი საქართველოს მოქალაქეების მიერ გადახდილი გადასახადებია, რომელთა მოცულობა 6.7 მილიარდ ლარზე ოდნავ მეტია.

მოქმედი მთავრობის ინფორმაციით, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმდინარე წლის განვლილი პერიოდი და მომავალი წლისთვის არსებული პროგნოზები. განვლილი რვა თვის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ - 7,5 პროცენტი, ხოლო მშპ-ს დეფლატორმა 0,3 პროცენტი შეადგინა, რისი გათვალისწინებითაც წლიური ზრდის პროგნოზი 7,0 პროცენტს შეადგენს. მთავრობის მიერ მომზადებულ პროექტში, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით, 2013 წლის ფისკალური და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კვლავ კონსერვატიულად არის დაგეგმილი და მშპ-ს ზრდის პროგნოზი 6,0 პროცენტია.

პროექტის მიხედვით, ბიუჯეტის მოცულობა 7,1 მილიარდ ლარს ოდნავ აღემატება. მისი ხარჯები დაგეგმილია, ძირითადად, "ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო პროგრამისა და 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე არსებული რეალობის შესაბამისად. ამიტომ ვარაუდობენ, რომ ახალი მოწვევის პარლამენტი, რომლის უმრავლესობას კოალიცია "ქართული ოცნება" ჩამოაყალიბებს, კარდინალურად შეცვლის ბიუჯეტის პროექტს.

პარლამენტში ამჟამად წარდგენილი ბიუჯეტის პროექტში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ეგრეთწოდებული, ყველა პრიორიტეტული სფეროს დაფინანსება. საფინანსო დოკუმენტის მიხედვით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია თითქმის 30 პროცენტით და 2.3 მილიარდ ლარს შეადგენს. ეს თანხა განსაზღვრულია მოსახლეობის სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისთვის, კერძოდ, საპენსიო პაკეტის 100 დოლარამდე გაზრდისთვის, 1000-ლარიანი ვაუჩერებისა და სხვა სოციალური დახმარებებისთვის. აქვე არის თანხები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისთვის, რაც თითქმის ნახევარ მილიარდ ლარს შეადგენს.

მოქმედი მთავრობის საპარლამენტო მდივან გია ხუროშვილის განცხადებით, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი მთლიანად, მომზადებულია იმ პროგრამის საფუძველზე, რომლის სახელწოდებაა "მეტი სარგებელი ხალხს": **"პროექტი, რა თქმა უნდა, იმ პრიორიტეტებს ასახავს, რომლებიც დღევანდელ მთავრობას აქვს, თუმცა განხილვის პროცედურა ითვალისწინებს მთავრობისთვის პროექტის რამდენჯერმე დაბრუნებას. პროექტის განხილვისას შესაძლებელია მისი მთლიანად შეცვლა და ახალი პოლიტიკური ძალის პრიორიტეტებზე მორგება."**

აღსანიშნავია, რომ ამჯერად ოპოზიციაში მყოფი მთავრობის მიერ შედგენილი და პარლამენტში წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის გადამუშავება და საბოლოო ჯამში დამტკიცება ახალ პოლიტიკურ ძალას მოუწევს. "ქართული ოცნების" უმრავლესობის გადასაწყვეტია - ოპოზიციურ ბიუჯეტს განიხილავს, თუ ბიუჯეტის ახალ პროექტზე დაიწყებს მუშაობას.

მომავალ მინისტრებს ვითარების შესწავლაში მოქმედი მთავრობა დაეხმარება

პირველი გვერდიდან

აღმასრულებელი ხელისუფლების მომავალი წევრები თითოეულ სამინისტროსა და უწყებაში ვითარებას შეისწავლიან, კადრებს და საბიუჯეტო საკითხებს გაეცნობიან. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში ეს პირები სამინისტროებში კოალიციის წარმომადგენლებად იქნებიან," - ამბობს დავით უსუფაშვილი.

უსუფაშვილის თქმით, შეხვედრაზე საუბრის ერთ-ერთი თემა იყო დეტალები ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომისა, რომელიც, კონსტიტუციის შესაბამისად, ქუთაისში გაიმართება.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრას, როგორც "რესპუბლიკელების" ლიდერი ამბობს, ჯერჯერობით გადაწყვეტილება მიღებული არ არის. **"ამ თემაზე ვმუშაობთ, გამორიცხული არ არის, შეხვედრა მალე შედგეს,"** -აღნიშნავს უსუფაშვილი.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია აზუსტებს, რომ "ქართული ოცნების" წარმომადგენლებისთვის უფლებამოსილებების დელეგირება არ ხდება. **"მოქმედ და მომავალ მინისტრებს მხოლოდ კომუნიკაცია ექნებათ. მოქმედი მთავრობა კოალიციას მიაწვდის ინფორმაციას ზოგადი, მნიშვნელოვანი საკითხებისა და ვითარების შესახებ. მომავალ ხელისუფლებას ქვეყანაში, სამინისტროებში მიმდინარე პროცესებზე წარმოდგენა ექნება. ახალი მთავრობა უკვე ინფორმირებული შეძლებს მუშაობის დაწყებას. დღეს მოქმედი მთავრობა მუშაობას ჩვეულებრივად აგრძელებს, სანამ მინისტრთა ახალი კაბინეტი დაკომპლექტდება. არანაირი შერეული უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა არ იქნება,"** - აღნიშნავს გიგა ბოკერია

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრობის კანდიდატი სოზარ სუბარი ასევე აღნიშნავს, რომ ხელისუფლების გადაბარებამდე ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესზე პასუხისმგებელი იქნება მოქმედი მთავრობა. მისი თქმით, კოალიციის ის წევრები, რომლებიც სამინისტროებში ვითარების გასაცნობად მივლენ, გადაწყვეტილებების მიღებაში არ ჩაერევიან.

სუბარის ინფორმაციით, შეხვედრაზე ადმინისტრაციული პატიმრების გათავისუფლების თემაც წამოიჭრა, რომლის განხილვაც თითქმის დასრულებულია.

ეროვნული ბანკის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მომავალი

შეხვედრაზე განხილვის ერთ-ერთი თემა, სავარაუდოდ, ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებაც გახდა. საქმე ის არის, რომ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა, მთავრობის მომავალ წევრებთან ერთად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის კანდიდატად - ნოდარ ჯავახიშვილი, ხოლო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელად რევაზ შავიშვილი დაასახელა.

დავით უსუფაშვილმა კანცელარიაში ყოფნისას განმარტა, რომ ამ პირთა დასახელება არ ნიშნავს, რომ მთავრობის წევრებთან ერთად თანამდებობებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და გენერალური აუდიტორიც დატოვებენ. **"ეს ორი თანამდებობა სამთავრობო ნომენკლატურა არ არის. შესაბამისად, ისინი მინისტრებთან ერთად თანამდებობებს არ დატოვებენ,"** - აღნიშნა უსუფაშვილმა.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი ბიძინა ივანიშვილის ნაბიჯს აკრიტიკებს. როგორც კუბლაშვილი ამბობს, საკანონმდებლო ორგანოს ეროვნული ბანკის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და სასამართლო ხელისუფლების მიმართ მოქმედების შეზღუდული არეალი აქვს. შესაბამისად, კუბლაშვილის თქმით, კონკრეტული რეგლამენტაციებია განსაზღვრული. **"ეს სტრუქტურები აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებებისგან დამოუკიდებლობას ნებისმიერ შემთხვევაში შეინარჩუნებენ,"** - ამბობს კუბლაშვილი. იგი მიიჩნევს, რომ სტრუქტურების ხელმძღვანელების კანდიდატურების დასახელებისგან ყველამ თავი უნდა შეიკავოს. **"ეროვნულ ბანკში ან სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ცვლილებების განხორციელების რაიმე სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს,"** - განაცხადა პავლე კუბლაშვილმა.

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ახალ პარლამენტს აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტების უფლებამოსილება ექნება, ამით საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენცია შემოიფარგლება.

შეხვედრის მონაწილეთა ინფორმაციით, პრეზიდენტისა და კოალიციის სამუშაო ჯგუფებს შორის მომდევნო შეხვედრა კვირის ბოლოს გაიმართება.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

კოალიციის მთავრობა და პარლამენტი

პირველი გვერდიდან

კახა კალაძეც, ვიცე-პრემიერობასთან ერთად, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი გახდება. შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატად ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ღარიბაშვილი წარადგინა. იუსტიციის მინისტრად - თეა წულუკიანი; სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრად - სოზარ სუბარი; საგარეო საქმეთა მინისტრად - მაია ფანჯიკიძე; ჯანდაცვის მინისტრად - ამირან გამყრელიძე; დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად - კოტე სურგულაძე; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად - ალექსი პეტრიაშვილი; რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად - პაატა ზაქარეიშვილი; სოფლის მეურნეობის მინისტრად - დავით კირვალიძე; კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრად - გურამ ოდიშარია; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრად - ლევან ყიფიანი. მთავარი პროკურორის პოსტზე არჩილ კბილაშვილის კანდიდატურა დასახელდა.

მომავალმა მინისტრებმა წარდგენის შემდეგ თავიანთი პრიორიტეტების შესახებ ჟურნალისტებთან ისაუბრეს. ირაკლი ალასანია, თავდაცვის მინისტრად დამტკიცების შემთხვევაში, ქვეყნის თავდაცვისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას ისახავს მიზნად. მისი თქმით, ამისთვის თვისობრივი რეფორმები გატარდება. ალასანია ასევე ამბობს, რომ ამ სფეროში გასული 20 წლის განმავლობაში ჩადენილი ყველა დანაშაული და შეცდომა გაანალიზდება და აღარ განმეორდება.

"კრიმინალურ სამყაროსთან შეურიგებლები ვიქნებით," - აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი. ის ირწმუნება, რომ დანაშაულის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა შენარჩუნდება და საქართველოში ვერავითარი კრიმინალი ფეხს ვეღარ მოიკიდებს. მანვე აღნიშნა, რომ პოლიციას თავისი მთავარი ფუნქცია უნდა დაუბრუნდეს და ხალხს ემსახუროს. **"აქამდე პოლიციის შენობები გამჭვირვალე იყო, თუმცა შიგნით გაუმჭვირვალე ამბები ხდებოდა. ამიერიდან ჩვენ ქართველი ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას ვიღებთ. ბევრი რეფორმაა დაგეგმილი. არავითარი პოლიტიკური დევნა არ იქნება და მე ვარ იმის გარანტი, რომ ყველა ის პირი, ვინც ხალხს და სამშობლოს კეთილსინდისიერად ემსახურება, თანამდებობაზე დარჩება,"** - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ ყველა პროფესიონალი და წესიერი ადამიანი, ვინც შინაგან საქმეთა სტრუქტურაში მსახურობდა, ამ სამსახურს დაუბრუნდება.

თეა წულუკიანს კი ბიძინა ივანიშვილმა "სამართლიანი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბების პროექტის" შექმნა დაავალა. ივანიშვილის თქმით, წულუკიანის პროექტს გუნდი განიხილავს, ამის შემდეგ კი დოკუმენტს საზოგადოებას გააცნობენ. წულუკიანი პირობას დებს, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი იქნება და თუ ვინმეს რაიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, ყველა კანონის მიხედვით აგებს პასუხს. **"ხელშეუხებელი ადამიანები არ იქნებიან. ეს ეხება როგორც "ნაციონალური მოძრაობის" წარსულ ხელისუფლებას, ასევე ჩვენს ხელისუფლებას,"** - ამბობს თეა წულუკიანი.

მაია ფანჯიკიძე საქართველოს მოქალაქეებს პირდება, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი არ შეიცვლება. ფანჯიკიძის თქმით, ახალი ხელისუფლების მიზანი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობა და მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბებაა. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას, როგორც მაია ფანჯიკიძე ამბობს, კოალიციას კონკრეტული მონახაზი აქვს, თუმცა სრულყოფილი გეგმა უკვე მისი მინისტრად დანიშვნის შემდეგ გახდება ცნობილი.

მთავარ პროკურატურაში არსებული ხარვეზების შესახებ ისაუბრა არჩილ კბილაშვილმა. ამასთან, აღნიშნა, რომ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მსოფლმხედველობას შეინარჩუნებს, კანონის მიხედვით იმოქმედებს. კბილაშვილის თქმით, მას რევანშისტული დამოკიდებულება არ ექნება. **"ყველა პატიოსანი თანამშრომელი საქმიანობას გააგრძელებს და ყველა დამნაშავე დაისჯება,"** - აცხადებს არჩილ კბილაშვილი.

სოზარ სუბარი ირწმუნება, რომ უპირველეს ყოვლისა მსჯავრდებულებისადმი მიდგომა შეიცვლება. **"სისტემა დღეს პატიმრების ღირსების შელახვაზეა აწყობილი. ადამიანების მანქურთიზაცია ხდება. ჩვენი მიზანია, სისტემა ადამიანების რესოციალიზაციას მოემსახუროს,"** - ამბობს სუბარი.

საქართველოს მასშტაბით დაწყებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროგრამების გაგრძელების შესახებ საუბრობს კახა კალაძე და დასძენს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არის რაიონები, სადაც წყლისა და გაზის მიწოდება პრობლემაა. კალაძე თავისი მინისტრობის პერიოდში ამ პრობლემების აღმოფხვრის პირობას დებს. ასევე, კოლეგების მსგავსად, აცხადებს, რომ თანამშრომლები საკუთარ ადგილებს შეინარჩუნებენ და სამინისტროში დიდი საკადრო ცვლილებები არ გატარდება.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ახალი ფუნქციების შესახებ საუბრობს პაატა ზაქარეიშვილი. **"არავითარ შემთხვევაში არ დავემორჩილებით სხვა სტრუქტურებს. გაყოფილი იქნება უფლებამოსილებები. ბუნებრივია, ეს სამინისტრო სპეციფიკურია, მას სჭირდება კონტაქტები შს სამინისტროსთან, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, უშიშროების საბჭოსთან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან. ეს ძირითადი სამინისტროებია, რომლებთანაც ვითანამშრომლებთ. ურთიერთობა მხოლოდ კონსტიტუციის და კანონის ფარგლებში იქნება შესაძლებელი. მთავარია, ჩვენ ერთი გუნდი ვართ და არა ერთი რაზმი,"** - აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

პაატა ზაქარეიშვილი ოკუპირებულ აფხაზეთში მინისტრის რანგში ჩასვლას მხოლოდ წინასწარი შეთანხმების შემდეგ აპირებს. ის მზად არის, აფხაზებთან შეხვედრა ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე გამართოს. "რესპუბლიკური პარტიის" წევრმა საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაზეც ისაუბრა. **"შეიცვლება "ოკუპაციის შესახებ" კანონის ზოგიერთი მუხლი. მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ადვილად გადაადგილდებოდნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე,"** - ამბობს პაატა ზაქარეიშვილი, - **"უნდა მოხდეს მათი ინტეგრაცია საერთო ევროპულ სივრცეში. რაც უფრო მეტად შევუშვებთ ევროპას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ისინი მეტად გახდებიან ქართული სახელმწიფოს ნაწილი. ევროპული სივრცე ჩვენ საფრთხეს არ გვიქმნის,"** - მიიჩნევს მომავალი სახელმწიფო მინისტრი.

პრიორიტეტებზე ისაუბრა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მომავალმა მინისტრმა ამირან გამყრელიძემ. როგორც მან აღნიშნა, პირველი ნაბიჯი ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევა იქნება. მისი თქმით, საბაზისო პაკეტზე ხელი ყველა მოქალაქეს უნდა მიუწვდებოდეს. **"ჩვენ ექიმთან მისვლის შიშის აღმოფხვრას მოვახერხებთ,"** - შენიშნავს გამყრელიძე. მინისტრობის კანდიდატი პენსიის ზრდაზეც საუბრობს, რაც, მისი თქმით, საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდება.

ბიძინა ივანიშვილს მინისტრობის რამდენიმე კანდიდატი ჯერ კიდევ არ დაუსახელებია. უცნობია ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მომავალი მინისტრის ვინაობა, ასევე - გარემოს დაცვის, ფინანსთა, განათლებისა და მეცნიერების, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრობის კანდიდატები. რაც შეეხება დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატს, კოალიცია ამ ახლად შექმნილ უწყებას, სავარაუდოდ, გააუქმებს.

ომავალი მთავრობის შესახებ მისი პოლიტიკური ოპონენტები საუბრობენ. "ნაციონალური მოძრაობის" წევრმა პავლე კუბლაშვილმა მომავალ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის შესახებ ისუაბრა. "საქართველოში წლების განმავლობაში ტრადიცია იყო, რომ პოლიტიკური ოპოზიცია დანიშვნის, ან დასახელების პირველივე დღიდან კონკრეტულ მინისტრებზე პერსონალურ თავდასხმებს იწყებდა. ვფიქრობ, მათი ხედვები უნდა მოვისმინოთ. წარმოდგენილი გუნდიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ მათი ხედვები ჩვენი პოლიტიკური შეხედულებებისგან განსხვავებული იქნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე მინისტრის მიმართ პიროვნული შეფასებები უნდა გავაკეთოთ. პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში მათ წინადადებებს მოვისმენთ და დასკვენს ამის შემდეგ გავაკეთებთ," - ამბობს პავლე კუბლაშვილი.

"ნაციონალური მოძრაობის" წევრი გოკა გაბაშვილი აცხადებს, რომ საზოგადოებამ "ქართული ოცნებისა" და მათი შესაძლებლობების მიმართ "ნაციონალური მოძრაობის" დამოკიდებულება კარგად იცის. მეორე მხრივ, როგორც გაბაშვილი ამბობს, ისიც ცნობილია, რომ "ნაციონალურმა მოძრაობამ" აიღო პასუხისმგებლობა, ახალი მთავრობის ფორმირებას ხელი არ შეუშალოს.

"შესაბამისად, პრეზიდენტი მთავრობის დასახელებულ შემადგენლობას პარლამენტს წარუდგენს," - აცხადებს გაბაშვილი. მან კანდიდატების შეფასებისგან თავი შეიკავა.

კოალიცია ახალი პარლამენტის მაღალ თანამდებობებზე

აღმასრულებელი ხელისუფლების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა საკანონმდებლო ორგანოს მომავალი მაღალი თანამდებობის პირები დაასახელა.

ახალი საპარლამენტო უმრავლესობა პარლამენტის თავმჯდომარედ "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერ დავით უსუფაშვილის არჩევას აპირებს. ივანიშვილმა ხუთი ვიცე-სპიკერობის კანდიდატებიც დაასახელა. პირველი ვიცე-სპიკერი გახდება "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე მანანა კობახიძე. ვიცე-სპიკერები კი იქნებიან - ზვიად ძიძიგური, "კონსერვატორების" ლიდერი; ზურაბ აბაშიძე, ალასანიას "თავისუფალი საქართველოს" წევრი და ზურაბ ტყემალაძე "მრეწველებიდან."

რაც შეეხება კომიტეტების თავმჯდომარეებს, 15 კომიტეტიდან 3-ს "რესპუბლიკელები" და 3-ს "თავისუფალი დემოკრატები" უხელმძღვანელებენ. 8 კომიტეტის თავმჯდომარე "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" წევრებიდან შეარჩიეს. "ეროვნულ ფორუმს" ერთი კომიტეტის ხელმძღვანელობა ერგო, თუმცა, როგორც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, გუბაზ სანიკიძე გახდება თუ არა დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე "რესპუბლიკური პარტიის" წევრი ვახტანგ ხმალაძე იქნება, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტისა კი - ასევე "რესპუბლიკელი" ირინა იმერლიშვილი. კიდევ ერთი "რესპუბლიკელი" გიგლა აგულაშვილი აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გახდება.

ირაკლი ალასანიას თანაპარტიელებიდან დავით ონოფრიშვილი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე გახდება, ვიქტორ დოლიძე ("თავისუფალი დემოკრატები") - ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე; გია ცაგარეიშვილი ("თავისუფალი დემოკრატები") - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე.

რაც შეეხება "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" კადრებს, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე იქნება. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე - ირაკლი სესიაშვილი;

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე - ეკა ბესელია; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - დიმიტრი ხუნდაძე; განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე - ივანე კიღურაძე; დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე - ნოდარ ხადური; რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობის და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე - ირაკლი ტრიპოლსკი; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე - ლერი ხაბელოვი.

P.S. ***მინისტრობის კანდიდატების ბიოგრაფიები შეგიძლიათ იხილოთ გაზეთის მე-4 და მე-5 გვერდებზე.***

ცესკო-ს რეაგირება საარჩევნო დარღვევებზე

არჩევნებიდან მეცხრე დღეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საარჩევნო კომისიების წევრებსა და თავმჯდომარეებზე ზეწოლაზე საუბრობს და პოლიტიკურ სუბიექტებს კანონიერების დაცვისკენ მოუწოდებს.

"საარჩევნო კომისიების წევრებსა და თავმჯდომარეებზე ფიზიკური და მორალური ზეწოლა გრძელდება. სამწუხარო ფაქტი მოხდა 7 ოქტომბერს ხაშურში, როდესაც არჩევნების პროცესით უკმაყოფილო, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა სასულიერო პირმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იმედო ლაცაბიძეს და შემდეგ შეეცადა, ავტომობილით დაჯახებოდა მას. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია გმობს ზეწოლის აღნიშნულ ფაქტს და კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველას, ხელი არ შეუშალონ საარჩევნო ადმინისტრაციას კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებაში," - ეს განცხადდა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ დილითვე გაავრცელა.

მოგვიანებით კი ცესკო-მ არჩევნების დღე ზოგადად შეაფასა: **"ცენტრალური საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ არჩევნების დღემ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა და ყველა ამომრჩეველს მიეცა შესაძლებლობა, ესარგებლა კონსტიტუციური უფლებით და გამოეხატა თავისი ნება."**

როგორც ცესკო-ს განცხადებაშია აღნიშნული, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა დადებითად შეაფასეს საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა.

"ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ყოველი ამომრჩევლის ხმა იყოს დაცული და საარჩევნო დავების პროცესი არ გასცდეს სამართლებრივ ჩარჩოებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო სუბიექტებმა პატივი სცენ საარჩევნო ადმინისტრაციას და აღიარონ შედეგები," - ნათქვამია ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებაში.

ცესკო-ს შეფასებით, არჩევნების მეორე დღიდან საარჩევნო ადმინისტრაციაზე განხორციელდა მიზანმიმართული ზეწოლა. მთელი ქვეყნის მასშტაბით იმ ოლქებში, სადაც წინასწარი შედეგებით "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატმა გაიმარჯვა, საპროტესტო აქციები იმართებოდა. "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების" აქტივისტები იმ უბნების გაუქმებას ითხოვდნენ, სადაც წინასწარი მონაცემებით "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატს მეტი ხმა ჰქონდა.

"ცესკო-მ არაერთი ნაბიჯი გადადგა იმისთვის, რომ საარჩევნო ადმინისტრაციაზე აგრესია და საარჩევნო კომისიების საქმიანობაში უხეში ჩარევა შეეჩერებინა.

არსებობს მრავალი ფაქტი იმისა, რომ კომისიის წევრებზე ადგილი ჰქონდა დაშინებისა და მუქარის მცდელობას," - აღნიშნავენ ცესკო-ს წარმომადგენლები და იმასაც განმარტავენ, რომ პოლიტიკური სიტუაციის განეიტრალებისთვის დიდი როლი ითამაშა საერთაშორისო საზოგადოებამ, განსაკუთრებით კი საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატიურმა კორპუსმა: **"მათი მხრიდან სწორი და სწრაფი მესიჯების გავრცელებამ სიტუაცია მნიშვნელოვნად დაამშვიდა, რამაც 6 ოქტომბრიდან საარჩევნო ადმინისტრაციას საშუალება მისცა, საქმიანობა ჩვეულ რეჟიმში გაეგრძელებინა."**

რაც შეეხება საარჩევნო ოლქების მიხედვით ბოლო ინფორმაციას, ცესკო-ს ანგარიში ასეთია: თეთრიწყაროს 26-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში სხდომა დაგეგმილი იყო 3 ოქტომბერს, თუმცა ზეწოლის შედეგად კომისიის წევრები იძულებულები გახდნენ, სხდომა 2 ოქტომბერს ჩაეტარებინათ და 23-ე და 31-ე უბნების შედეგები გაეუქმებინათ. საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს, შენობიდან გამოშვების სანაცვლოდ, პოლიტიკური სუბიექტები თავიანთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას სთხოვდნენ. სხდომას ასევე ესწრებოდა კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენელი, რომელიც საოლქო კომისიაში არაუფლებამოსილ პირს წარმოადგენდა. ცესკო-მ მიიღო გადაწყვეტილება, გაბათილდეს საოლქო კომისიის განკარგულება, რომელიც 31-ე უბნის შედეგების ბათილობას ეხებოდა. ცესკო-მ ასევე მიიღო განკარგულება 31-ე უბნის ბიულეტენების ხელახლა გადათვლის შესახებ (განკარგულებები N434 და N435). თუმცა ეს გადაწყვეტილებები საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდა, სადაც ცესკო-ს მიერ მიღებული ორივე განკარგულება მოსამართლემ ბათილად ცნო.

ცენტრალური საარჩევნო კომისია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავს.

გუშინ, დღის ბოლოს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ინფორმაცია გაავრცელა კიდევ ერთი კანონდარღვევის შესახებ. როგორც ცესკო-ს წარმომადგენლებმა გაარკვიეს, 2012 წლის 8 ოქტომბრის დილას, გორის N32 საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში მისულ საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებს კომისიის შენობა გაძარცვული დახვდათ. შენობიდან გატაცებულია სამი კომპიუტერი, რომლებშიც ინახებოდა ინფორმაცია არჩევნების შესახებ და სხვადასხვა მასალები. ცესკო-ს განცხადებით, საქმეს ადგილობრივი სამართალდამცველები იძიებენ.

გუშინვე გახდა ცნობილი, რომ ახალ პარლამენტში 83 სადეპუტატო მანდატს "ბიძინა ივანიშვილი- ქართული ოცნება" მიიღებს, 67-ს კი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს". საკონსტიტუციო უმრავლესობა ანუ 2/3, რისთვისაც წინასაარჩვენო პერიოდში ორივე მთავარი სუბიექტი იბრძოდა, ვერც ერთმა პარტიამ ვერ მიიღო. გუშინ კი, მას შემდეგ, რაც კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა მომავალი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა დაასახელა, ცნობილი გახდა, რომ "ქართულ ოცნებას" კიდევ სამი დეპუტატი გამოაკლდება. პარლამენტის შეკრების და ახალი მთავრობის დამტკიცების შემდეგ სადეპუტატო მანდატს გამოეთხოვება ნაძალადევის გამარჯვებული მაჟორიტარი თეა წულუკიანი, რომელიც მომავალ მთავრობაში იუსტიციის მინისტრად მოიაზრება; საჩხერის მაჟორიტარი კახა კალაძე - იგი ვიცე-პრემიერობის კანდიდატად დასახელდა და ბაღდათის მაჟორიტარი არჩილ კბილაშვილი, რომელიც მთავარი პროკურორის პოსტს დაიკავებს.

"საარჩევნო კოდექსის" თანახმად, როდესაც მაჟორიტარი დეპუტატი ტოვებს საპარლამენტო მანდატს, მისი ადგილი პარლამენტში კვლავ იმავე რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა უნდა შეავსოს. ამისთვის კი საჭიროა ამავე უბნებში არჩევნების განმეორებით ჩატარება. კანონმდებლობით, მას შემდეგ, რაც დასახელებული მაჟორიტარები მთავრობაში გადაინაცვლებენ, განმეორებითი არჩევნები მხოლოდ ერთი წლის შემდეგ - 2013 წლის ოქტომბრისთვის დაინიშნება.

მთავრობის მომავალ წერთა მოკლე ბიოგრაფიები

დავით უსუფაშვილი

იურისტი, საჯარო პოლიტიკის მაგისტრი და 2005 წლიდან "საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე. დაიბადა 1968 წლის 5 მარტს, დაამთავრა დიუკის უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2005 წლამდე მუშაობდა არასამთავრობო მიმართულებით. იყო USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტების იურიდიული რეფორმების ხელმძღვანელი, ანტიკორუფციული სამუშაო ჯგუფის აღმასრულებელი მდივანი, ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" საბჭოს წევრი, AMEX INTERNATIONAL-ის საქართველოს ფილიალის დირექტორი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი. გარდა ამისა, 1990 წლიდან, როდესაც პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა, 1992 წლამდე ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყოფილების გამგეა. შემდეგში მუშაობდა სახელმწიფო საბჭოს იურიდიული განყოფილების მრჩეველის თანამდებობაზე და კითხულობდა ლექციებს თსუ-ში.

დავით უსუფაშვილი "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ერთ-ერთი დაფუძნებელია და მისი პირველი თავმჯდომარე იყო.

2005 წელს, მას შემდეგ, რაც "რესპუბლიკური პარტია" "ნაციონალურ მოძრაობას" განუდგა, დავით უსუფაშვილი "რესპუბლიკურ პარტიაში" გაწევრიანდა და პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს. 2011 წელს პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა უსუფაშვილი კვლავ დაასახელა პარტიის თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე - თინათინ ხიდაშელი და ორი შვილი.

მანანა კობახიძე

ისტორიკოსი, პოლიტოლოგი, ადვოკატი, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ლექტორი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. დაიბადა 1968 წლის 3 თებერვალს. იყო ორგანიზაცია "საზოგადოებრივი დამცველის" აღმასრულებელი დირექტორი. 2003 წლიდან მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაციაში "კონსტიტუციის 42-ე მუხლი". 2009 წლის ივლისიდან კი ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი და "დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლოს" ერთ-ერთი დამფუძნებელი პარტნიორია. ასევე არის ორგანიზაციის "საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის" დამფუძნებელი და გამგეობის წევრი. 2002-2003 წლებში მუშაობდა კერძო საადვოკატო ბიურო "დარაკაში". ძირითადად დაკავებული იყო ევროსასამართლოს ქვემდებარე, აგრეთვე საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეებით. მის მიერ მოგებული საქმეებია: "ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ", "ალიევი საქართველოს წინააღმდეგ", "ჯიმშერიშვილი და ბერიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", "ქეთევან ბახტაძე პარლამენტის წინააღმდეგ" და სხვ.

მანანა კობახიძე კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაარსების დღიდან შეუერთდა. არის პარტიის თავმჯდომარე.

ირაკლი ალასანია

დაიბადა 1973 წლის 21 დეკემბერს ქალაქ ბათუმში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით, ასევე სწავლობდა საქართველოს უშიშროების აკადემიაში.

1994-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამსახურში. 1998 წელს მუშაობა გააგრძელა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც 2001 წლის სექტემბრამდე იკავებდა სხვადასხვა თანამდებობებს, მათ შორის, მუშაობდა დსთ-სა და რუსეთის დეპარტამენტში და აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოში.

2002 წლიდან დაინიშნა სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილედ. მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა ანტიტერორისტულ ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით, პანკისის ხეობაში ჩატარდა არაერთი ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაცია, მოხდა ხეობაში დაბანაკებული ჩეჩენი ბოევიკებისა და საერთაშორისო ძებნაში მყოფი ტერორისტების განეიტრალება და მათი იძულება, დაეტოვებინათ ქვეყნის ტერიტორია.

თავდაცვის მინისტრობის კანდიდატი 2004 წლის მარტიდან ივლისამდე თავდაცვის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, შემდეგ კი - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ. 2004 წლის 28 სექტემბერს ირაკლი ალასანია დაინიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ, პარალელურად კი - პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენლად ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში. მისი მონაწილეობით 2006 წლის მარტში ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს მუშაობა განახლდა.

2006 წლის ზაფხულში ირაკლი ალასანია გაერო-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნა. იგი აგრძელებდა მუშაობას აფხაზეთის საკითხებზე. მან, აფხაზურ მხარესთან ერთად, შეიმუშავა შეთანხმების პროექტი ცეცხლის განუახლებლობისა და დევნილების დაბრუნების მექანიზმების შესახებ, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ ალასანიას ხედვა არ გაიზიარა.

2008 წლის 4 დეკემბერს ირაკლი ალასანია გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობიდან გადადგა და საქართველოში დაბრუნდა. 2009 წლის 16 თებერვალს საზოგადოებას საკუთარი პოლიტიკური გუნდი წარუდგინა. რამდენიმე დღეში "ალიანსი საქართველოსთვის" შეიქმნა, რომელშიც ირაკლი ალასანიას გუნდი, "რესპუბლიკური პარტია" და "ახალი მემარჯვენეები" გაერთიანდნენ. 2009 წლის 16 ივლისს დაფუძნდა პოლიტიკური პარტია "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები", რომლის თავმჯდომარედ ირაკლი ალასანია აირჩიეს. 2010 წელს მონაწილეობდა ქალაქ თბილისის მერის არჩევნებში, სადაც გიგი უგულავასთან დამარცხდა.

პოლიტიკაში გამოჩენილმა ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანიასთან აქტიური მოლაპარაკებები გამართა. 2012 წელს დაარსდა კოალიცია "ქართული ოცნება", რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელია პარტია "თავისუფალი დემოკრატები"

ჰყავს მეუღლე - ნათია ფანჯიკიძე და ორი შვილი.

მაია ფანჯიკიძე

კოალიცია "ქართული ოცნების" წევრი მაია ფანჯიკიძე 1994 წლამდე იყო თბილისის მე-6 ქართული გიმნაზიის გერმანული ენის მასწავლებელი, გერმანული ენის სწავლების მიმართულების ხელმძღვანელი, თსუ-ს საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრის დოცენტი, გერმანული ენის მასწავლებელთა კავშირის დამაარსებელი და თავმჯდომარე. მაია ფანჯიკიძემ დიპლომატიური საქმიანობა 1994 წელს დაიწყო, როდესაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი გახდა. ამ თანამდებობას მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი 1997 წლამდე იკავებდა, შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი გახდა. 2001 წლის აგვისტოდან 2002 წლის თებერვლამდე ფანჯიკიძე საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული დეპარტამენტის მრჩეველის თანამდებობაზეა, იმავე წლის თებერვლიდან აგვისტომდე კი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი იყო. 2002 წლის აგვისტოდან 2004 წლის თებერვლამდე მუშაობდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის თანამდებობაზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ამის შემდეგ ერთი თვის მანძილზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, 2004 წლის მარტიდან 2007 წლის იანვრამდე კი - საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მისი ბოლო დიპლომატიური სამსახური იყო 2007-2010 წლებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოსტი ნიდერლანდის სამეფოში. ამის შემდეგ, 2011 წლის ბოლომდე ფანჯიკიძე გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, უცხო ენების ცენტრის ხელმძღვანელი, "ევროპული სკოლის" და სკოლა "ლოგოსის" გერმანული ენის მასწავლებელი იყო. 2011 წლის დეკემბრიდან, მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი მოძრაობა "ქართული ოცნება" დაფუძნდა, მაია ფანჯიკიძე მოძრაობის ცენტრალური ოფისის ხელმძღვანელის და თემატური ჯგუფების კოორდინატორის თანამდებობებზე მუშაობდა.

ირაკლი ღარიბაშვილი

შს მინისტრობის კანდიდატი, ბიძინა ივანიშვილის "მარჯვენა ხელად" მიჩნეული ირაკლი ღარიბაშვილი "ქართუ" ფონდის პრეზიდენტი გახლდათ.

მისი სიმამრი კახეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსი, გენერალი თამაზ თამაზაშვილია. აღსანიშნავია, რომ ღარიბაშვილმა მინისტრის ის სავარძელი დაიკავა, რომელშიც მისი სიმამრი უნდა ჩამჯდარიყო, რომ არა მისი ამჟამინდელი მდგომარეობა - თამაზ თამაზაშვილი ამჟამად პატიმარია.

თავად ღარიბაშვილმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის შემდეგ, პარიზში, სორბონას უნივერსიტეტიის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაამთავრა.

სოზარ სუბარი

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტრო ის სფეროა, რომელსაც მინისტრის პოსტზე წარდგენილი სოზარ სუბარი ძალზე კარგად იცნობს. აქტიური ჟურნალისტიკიდან და არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტიდან" ის ქვეყნის სახალხო დამცველის სავარძელში ვიხილეთ. მოგვიანებით, მან სასჯელაღსრულების სისტემის მკაცრი კრიტიკა დაიწყო. 2009 წელს სოზარ სუბარი გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მრჩეველთა საბჭოს წევრად აირჩიეს.

ქვეყნის სახალხო დამცველის პოსტიდან წასვლის შემდეგ, სოზარ სუბარმა 2012 წლამდე არაერთი ოპოზიციური პარტია გამოიცვალა. თავდაპირველად ის "რესპუბლიკურ პარტიის" წევრი გახდა. მოგვიანებით შეუერთდა პოლიტიკურ გაერთიანებას "ალიანსი საქათველოსთვის", რომლის წევრებიც იყვნენ "რესპუბლიკური პარტია", "ახალი მემერჯვენეები" და "თავისუფალი დემოკრატები". მან ალიანსი მალევე დატოვა და სხვა ოპოზიციურ ფრთასთან - ეროსი კიწმარიშვილთან, ირაკლი ოქრუაშვილთან და ლევან გაჩეჩილაძესთან გაერთიანდა და მათთან ერთად დააფუძნა "ქართული პარტია". პარტიის დაშლის შემდეგ, 2012 წლიდან, ყოფილი ომბუდსმენი "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" პოლიტიკური მდივანი იყო.

თეა წულუკიანი

თეა წულუკიანი, რომელიც იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს შეცვლის, სტრასბურგის სასამართლოდანაა ცნობილი. სტრასბურგში საქართველოდან შესულ განაცხადებს თეა წულუკიანი ამზადებდა.

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი თეა წულუკიანი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსასამართლოს აპარატში 2000 წლიდან მუშაობდა და მას შემდეგ, რაც პარტია "თავისუფალი დემოკრატების" ლიდერ ირაკლი ალასანიასგან შეთავაზება მიიღო, 10-წლიან სტრასბურგულ კარიერაზე 2010 წელს უარი თქვა, საქართველოში დაბრუნდა და ის ირაკლი ალასანიას მრჩეველი გახდა, მალევე, პარტიის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი დაიკავა

თეა წულუკიანი 37 წლისაა. საფრანგეთში დაამთავრა ლიონის ამპერის სახელობის ლიცეუმი და მიიღო ბაკალავრის დიპლომი. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. სწავლობდა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ დიპლომატიის აკადემიაში. დაამთავრა საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლა - ENA. ENA-ს დასრულების შემდეგ დაიცვა მაგისტრის ხარისხი საჯარო ადმინისტრაციაში - MPA. მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში. სტრასბურგში მიიღო უფროსი იურისტის საკლასო ჩინი. იყო სასამართლოს რეგლამენტის კომიტეტის წევრი.

მთავრობის მომავალ წერთა მოკლე ბიოგრაფიები

ამირან გამყრელიძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგრამების კოორდინატორი საქართველოში. მუშაობდა იმუნოლოგიის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, არის საქართველოს უნივერსიტეტის სრული პროფესორი, იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი 2001-2004 წლებში. მანამდე, 4 წლის მანძილზე, მუშაობდა ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტზე. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მან თანამდებობა დატოვა.

1995-1997 წლებში მუშაობდა ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე. იყო თსსუს კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში ალერგიულ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი. დიაბეტიან ბავშვთა ასოციაციამ საქართველოში მცხოვრები დიაბეტიანი ბავშვებისადმი გამოჩენილი მზრუნველობისა და დახმარებისთვის ამირან გამყრელიძე ასოციაციის ოქროს მედლით დააჯილდოვა.

ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს კანონი ნარკომანიის დეკრიმინალიზაციის შესახებ.

დავით კირვალიძე

იგი იყო ზურაბ ჟვანიას ე.წ. რეფორმატორთა გუნდის წევრი მიხეილ სააკაშვილთან, მიხეილ მაჭავარიანთან და ზურაბ ნოღაიდელთან ერთად. სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობაზე ედუარდ შევარდნაძის მთავრობის პერიოდშიც მუშაობდა - 2003 წლიდან 2004 წლის თებერვლამდე. ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ კირვალიძემ თანამდებობა დატოვა.

2008 წელს დავით კირვალიძე ნინო ბურჯანაძის მიერ დაფუძნებული "დემოკრატიული განვითარების ფონდის" 19-კაციან მრჩეველთა საბჭოს წევრი იყო. რამდენიმე წლის წინ კირვალიძეს ჰუმანიტარული ტვირთების არამიზნობრივ გადანაწილებაში დასდეს ბრალი და 250 ათასი ლარის გადახდა დააკისრეს. ყოფილი მინისტრის საცხოვრებელ ბინაში ჩხრეკა ჩაატარეს, თუმცა სამართალდამცავებმა რამე დოკუმენტს ვერ მიაკვლიეს.

პაატა ზაქარეიშვილი

დაიბადა 1958 წლის 4 აგვისტოს. დაამთავრა ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის სასულიერო აკადემია. 1992-1995 წლებში იყო ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის რელიგიურ უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსი, ხოლო 1992-1997 წლებში - ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში სამხედრო ტყვეთა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა და კონფლიქტურ ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის კომისიის ხელმძღვანელი. ასრულებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მრჩევლის მოვალეობას დევნილთა და ლტოლვილთა საკითხებზე. იყო ღია საზოგადოების ინსტიტუტის (ნიუ იორკი) იძულებითი მიგრაციის პროექტის კოორდინატორი, ასევე საქართველოს პარლამენტის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის აპარატის უფროსი. 1995 წლიდან დღემდე არის კალიფორნიის უნივერსიტეტის (ირვაინი) ქართულ-აფხაზური სამოქალაქო დიალოგის პროექტის ქართული მხარის კოორდინატორი, ასევე 1998 წლიდან დღემდე არის შერიგების რესურსების (ლონდონი) ქართულ-აფხაზური პროექტების კოორდინატორი ქართული მხრიდან. 2000-2001 წლებში ასრულებდა საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას. 2000-2004 წლებში კი "ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს" აღმასრულებელი საბჭოს წევრი გახდა. 2002-2006 წლებში ზაქარეიშვილი იყო თბილისის საკრებულოს წევრი, ხოლო 2009 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტს (ISNC). მისი ინიციატივით, 1997 წლიდან დაიწყო დისკუსია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების (ე.წ. კონკორდატის) მიზანშეწონილობის შესახებ.

1990 წლიდან "საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" წევრია.

კახა კალაძე

დაიბადა 1978 წლის 27 თებერვალს. არის საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი და კაპიტანი. რამდენჯერმე დაასახელეს წლის საუკეთესო ქართველ მოთამაშედ. კახა კალაძე 9 წლის მანძილზე საფეხბურთო კლუბ "მილანის" წევრი იყო. მილანში ჩარიცხვამდე თბილისის "დინამოსა" (1993-1997) და კიევის "დინამოში" (1998-2001) თამაშობდა. 2001 წელს კალაძე გახდა ყველაზე ძვირადღირებული ქართველი ფეხბურთელი - მილანმა მის ტრანსფერში 16 მილიონი ევრო გადაიხადა. კარიერა დაასრულა 2012 წელს, კოალიცია "ქართულ ოცნებაში" გაწევრიანების შემდეგ.

აქვს ბიზნესი საქართველოში, იტალიაში, უკრაინასა და ყაზახეთში. საქართველოში კალაძის ბიზნესსფეროს მიეკუთვნება ჰოლდინგი "კალა კაპიტალი", რომლის ერთ-ერთი შემადგენელია "პროგრეს ბანკი". მილანში - 1899 წელს დაარსებული რესტორანის "ჯიანინოს" მფლობელია. ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას - არის "ფიფას" ელჩი ბავშვთა სოფელში. "კალა კაპიტალი" 2008 წლის აგვისტოში სამაჩაბლოდან დევნილ მოსახლეობას 50 000 ევროთი დაეხმარა. კახა კალაძე "ვარდების რევოლუციის" დროს მიხეილ სააკაშვილის აქტიური მხარდამჭერი იყო, ის ხელსუფლებას 2008 წელს განუდგა, როცა, მისი თქმით, ბიზნესში პრობლემები შეუქმნეს. მისი მეგობრის, ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძის დაკავების შემდეგ კი ხელისუფლებას ღიად დაუპირისპირდა.

ჰყავს მეუღლე - ანუკა არეშიძე და ორი შვილი.

გურამ ოდიშარია

მწერალი, პროფესიით ისტორიკოსი და ფილოლოგი, იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის მრჩეველი, 1987 წლიდან რედაქტორობდა სოხუმში გამომავალ ჟურნალ "რიწას". თანამშრომლობს კავკასიის რეგიონის მწერლებთან და მათთან ერთად გამოსცემს ლიტერატურულ ალმანახს - "სამხრეთ კავკასია". სხვადასხვა დროს მუშაობდა სოხუმის რადიომაუწყებლობის კორესპონდენტად, აფხაზეთის საოლქო გაზეთის კორესპონდენტად. სისტემატურად მონაწილეობდა ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო შეხვედრებში (სოჭი, მოსკოვი, ნალჩიკი, წახკაძორი, კონობეევო და სხვ).

ცხოვრობდა სოხუმში, რომლის დაცემის შემდეგ უღელტეხილით გადმოვიდა. აფხაზებთან მოლაპარაკებები 1997 წელს დაიწყო. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში იყო კოალიცია "ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატი სენაკში.

ლევან ყიფიანი

ცნობილი ქართველი ფეხბურთელის დავით ყიფიანის შვილი. მუშაობდა "ქართული ოცნების" სპორტის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

2008 წელს ლევან ყიფიანმა საქართველოს ნაკრების ყოფილ ფეხბურთელებთან მიხეილ ყაველაშვილთან და გოჩა ჯამარაულთან ერთად დააარსა კავშირი "ჩვენი ფეხბურთი". კავშირი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს უპირისპირდებოდა. 2009 წლის ნოემბერში ლევან ყიფიანმა ფედერაცია გიორგი ნემსაძესთან ერთად დატოვა. ის აღმასკომში არასაკმარისი ხმების გამო ვერ მოხვდა. ლევან ყიფიანი აკრიტიკებს "სპორტის შესახებ" კანონს, რომელიც, მისი თქმით, სპორტის განვითარების ხელშეწყობას ვერ უზრუნველყოფს.

იგი არის "დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, საქართველოს ჩემპიონი, თასის მფლობელი.

კოტე სურგულაძე

მუშაობდა დიპლომატიურ სამსახურში. მსახურობდა საქართველოს კონსულად დიდ ბრიტანეთში. კონსტანტინე სურგულაძე იყო კოალიცია "ქართული ოცნების" კოორდინატორი ემიგრაციისა და დიასპორის საკითხებში. 2009 წლიდან არის პარტია "თავისუფალი დემოკრატების" წევრი.

არჩილ კბილაშვილი

მთავარი პროკურორობის პოსტზე წარდგენილ, ბაღდათის მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებულ არჩილ კბილაშვილს იურისტობის 18-წლიანი გამოცდილება აქვს.

სანამ კბილაშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდებოდა, ფართო საზოგადოებამ ის ადვოკატობით გაიცნო. ბოლო პერიოდში არჩილ კბილაშვილის მონაწილეობით განხილული საქმეებიდან გამოირჩევა ებრაელი ბიზნესმენების - ზეევ ფრენკელისა და რონი ფუქსის საქმე.

არჩილ კბილაშვილი მუშაობდა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში. ის აქამდე იურიდიულ ფირმა "მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგურის" ერთ-ერთი პარტნიორი იყო.

არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი და საფრანგეთის საელჩოს პირადი ადვოკატ-კონსული.

ნოდარ ჯავახიშვილი

"ეროვნული ფორუმის" წევრი 2010 წლის 1-ლი მარტიდან, 2011 წლის 30 მარტიდან კი ამავე გაერთიანების პოლიტიკური საბჭოს წევრი. 1994-2004 წლებში ჯავახიშვილი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, შემდგომში ამავე კომიტეტის თავმჯდომარე. 1993-1998 წლებში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. 1992-1993 წლებში - "ბინსოცბანკის" ისნის განყოფილების მმართველი. 1988-1991 წლებში - სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის თავმჯდომარის მოადგილე. 1987-1988 წლებში - ამავე ბანკში საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი. 1983-1985 წლებში რუსთავის ბანკის მმართველი. 1981-1983 წლებში - მძიმე მრეწველობის დაკრედიტების სამმართველოს უფროსი.

რევაზ შავიშვილი

დაიბადა 1955 წლის 30 მაისს. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსისტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მუშაობდა ბიოფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად. 1992 წელს გახდა საქართველოს პარლამენტის დეპუტატი. იმავე წელს დაინიშნა კონტროლის პალატის ხელმძღვანელად და ამ პოსტზე 2000 წლის მაისამდე მუშაობდა.

საწვავის ფასი მხოლოდ ერთმა კომპანიამ შეამცირა

სოფო ჩიხლაძე

საქართველოში საწვავის ფასის მნიშვნელოვან გაიაფებაზე საზოგადოებაში უკვე ბევრს საუბრობენ. გავრცელდა ინფორმაციები იმის შესახებაც, რომ ნავთობპროდუქტების იმპორტიორი და რეალიზატორი კომპანიები საწვავს 15-20 თეთრით გააიაფებენ, თუმცა ჯერჯერობით ფასის ასეთ მნიშვნელოვან შემცირებას ყველა კომპანია გამორიცხავს.

საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზარზე 5 კომპანია ოპერირებს: "სოკარი", "ლუკოილი", "რომპეტროლი", "ვისოლი" და "გალფი". ისინი ეწევიან როგორც იმპორტს, ასევე რეალიზებას. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია "სოკარი" ნავთობპროდუქტების იმპორტს აზერბაიჯანიდან ექსკლუზიურად ახორციელებს, დანარჩენ კომპანიებს კი საქართველოში საწვავი ევროპის ქვეყნებიდან შემოაქვთ.

ადგილობრივ ბაზარზე საწვავის ფასების შემცირების მოლოდინი მას შემდეგ გაჩნდა, რაც კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესსექტორთან შეხვედრისას ბიზნესმენებს ფასების დაწევისკენ მოუწოდა.

ამ განცხადებიდან მეორე დღეს, 6 ოქტომბერს კომპანია "ვისოლის" ბენზინგასამართ სადგურებში ყველა სახის საწვავზე ფასი 8 თეთრით შემცირდა. ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, თუ კონკრეტულად რის საფუძველზე და რა რესურსით მოახერხა კომპანიამ ფასების კლება, თუმცა, სამწუხაროდ, მათ ჩვენს ზარებს არ უპასუხეს.

საზოგადოებაში მოლოდინი იყო, რომ საწვავის ფასი უახლოეს დღეებში დაიკლებდა ასევე კომპანია "გალფის" ქსელშიც, თუმცა ჩვენთან საუბრისას კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერმა განაცხადა, რომ მინიმუმ ერთი კვირის განმავლობაში "გალფის" ბენზინგასამართ სადგურებში ყველა ტიპის საწვავზე ძველი ფასი შენარჩუნდება. **"ვინაიდან მომავალი ხელისუფლების და საზოგადოების მხრიდან გაჩნდა მოთხოვნა, რომ ფასთა პოლიტიკას გადავხედოთ, ბოლო 3 დღეა, საწვავის ფასის გაიაფებასთან დაკავშირებით, მენეჯმენტში ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს. ამ ეტაპზე სუფთა პოპულისტური ნაბიჯების გადადგმისგან თავს შევიკავებთ, რადგანაც ამით კომპანია ზარალზე წავა. ჩვენს რეზერვს გადავხედავთ, დავაკვირდებით, სად შეგვიძლია მომჭირნეობა და სად - რეალურად ფასის დაწევა. უნდა დავფიქრდეთ, ამავდროულად დავაკვირდებით საწვავის პლაცის ფასს. გვინდა, რომ არა მცირედით, არამედ მნიშვნელოვნად შევამციროთ საწვავის ფასი, თუმცა ეს მხოლოდ ჩვენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. ასევე დიდი იმედი გვაქვს, რომ ახალი მთავრობა ზოგიერთ ლოკალურ ტარიფს, მაგალითად, იმპორტის გადასახადს, დღგ-ს და ა.შ. გადახედავს და შეამცირებს. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ საწვავზე ფასები საგრძნობლად დავაკლოთ. განცხადებას იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რისი გაკეთება შეუძლია კომპანია** "გალფს" ფასის შემცირებასთან დაკავშირებით, ზუსტად ერთ კვირაში გავაკეთებთ," - გვითხრა კომპანია "გალფის" ვიცე-პრეზიდენტმა, მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსმა ნინო ჯიბლაძემ.

მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასი სექტემბრის დასაწყისდამდე იზრდებოდა, სექტემბრის პირველი ნახევრიდან კი ნავთობპროდუქტების ფასმა კლება დაიწყო. 4 ოქტომბრიდან საწვავის ფასი ისევ იზრდება, თუმცა მარაგი, რომელიც ამჟამად ადგილობრივ ბენზინგასამართ სადგურებშია და ქსელში იყიდება, სწორედ იმ პერიოდშია შესყიდული, როცა მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასი შემცირებული იყო, შესაბამისად, ქართულ კომპანიებს აქვთ საშუალება, რომ საწვავის ფასი ამ ეტაპზე შეამცირონ.

კომპანია "ლუკოილში" აცხადებენ, რომ საწვავის ფასის შემცირება ახლო მომავალში დაგეგმილი არ აქვთ. **"მიზეზი, რის გამოც საწვავის ფასს ვერ ვაიაფებთ, მსოფლიო პოლიტიკა გახლავთ. იმ საერთაშორისო კრიზისებიდან გამომდინარე, რომელიც განსაკუთრებით ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისა და ხმელთაშუა ზღვის გარშემოა, ვერ მოვახერხებთ, ფასი შევამციროთ. ახლა მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასი ძვირდება. თუ კი ეს ტენდენცია შენარჩუნდა, ალბათ ჩვენს პროდუქტს ვერ გავაიაფებთ,"** - გვითხრა კომპანია "ლუკოილის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ლევან გოგიჩაძემ.

"ლუკოილის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ "ვისოლის" მიერ საწვავის გაიაფების შემდეგ კლიენტების დაკარგვის შიში არ აქვთ. **"ფასების კონკურენცია ადრე თუ გვიან უფსკრულამდე მიდის. ფასების კონკურენციაში არასოდეს მიგვიღია მონაწილეობა და, სავარაუდოდ, არც მომავალში ჩავერთვებით. ჩვენს ქსელში ბულგარეთიდან შემოტანილი ევროსტანდარტის ბენზინი და დიზელი იყიდება. იმედი გვაქვს, რომ მომხმარებელი ამას დააფასებს,"** - აცხადებს ლევან გოგიჩაძე.

კომპანია "რომპეტროლის" მარკეტინგის განყოფილებაში გვითხრეს, რომ საფასო პოლიტიკასთან დაკავშირებით კომერციული დირექტორი უნდა დაგელაპარაკოთ, თუმცა საუბრისთვის თავისუფალი დრო არ აქვსო. ისიც გვირჩიეს, საფასო პოლიტიკასთან დაკავშირების "რომპეტროლის" პოზიციის გასაცნობად ის კომენტარი წაგვეკითხა, რომელიც კომპანიის კომერციულმა დირექტორმა 6 ოქტომბერს ერთ-ერთ მედიასაშუალებას მისცა. **"იმის გამო, რომ კონკურენტების ნაწილმა საწვავი უკვე გააიაფა, კომპანია არ გამორიცხავს, რომ კლიენტთა უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით, ფასების კლება ხვალ დაიწყოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს კომპანიის მოგებაზე უარყოფითად აისახება. შესაძლებელია, ფასები ხვალვე დავწიოთ. ეს დაუწერელი კანონია. კონკურენტი რომ აკლებს ფასს, ჩვენც ყოველთვის მივყვებით,"** - ეს განცხადება კომპანია "რომპეტროლის" კომერციულმა დირექტორმა თენგიზ ჭიჭინაძემ მას შემდეგ გააკეთა, რაც "ვისოლმა" ყველა სახეობის საწვავზე ფასი 8 თეთრით შეამცირა. აღნიშნული განცხადების მიუხედავად, კომპანია "რომპეტროლს" საწვავზე ფასი არ გაუიაფებია.

თუ რამდენად რეალურია საქართველოში საწვავის 20 თეთრით გაიაფება, ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა და იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი ამაზე საუბრისგან თავს იკავებენ. **"საწვავის 20 თეთრით გაიაფების შესახებ კომენტარს ვერ გავაკეთებ. უპრიანი იქნება, კომპანიების წარმომადგენლებმა გააკეთონ ამასთან დაკავშირებით განმარტება, თუ რამდენი თეთრით შეუძლიათ საწვავის გაიაფება. ჩვენთან ფასები პირდაპირ დამოკიდებულია საერთაშორისო ფაზებზე, რადგან იმპორტიორი, მომხმარებელი ქვეყანა ვართ. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ფასები საერთაშორისო ბაზრებზე კლებულობს და ამის შესაბამისად კომპანიებმა სექტემბრის შუა რიცხვებში ყველა კატეგორიის საწვავზე ფასი 3-7 თეთრით გააიაფეს. მსოფლიო ნავთობის ბაზარზე არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, ველოდებოდით, რომ საქართველოში გაიაფების პროცესი გაგრძელდებოდა.** "ვისოლმა" უკვე გააიაფა საწვავი. რამდენად მიბაძავენ სხვა კომპანიები, ეს მათი გადასაწყვეტია. როცა ერთი კომპანია ფასს მნიშვნელოვნად ამცირებს, კონკურენციიდან გამომდინარე, სხვასაც მოუწევს ფასის შემცირება. საწვავის ფასის შემცირებასთან დაკავშირებით, არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ მომავალი ხელისუფლების განცხადების გავლენა, რომელიც ბიზნესს მოუწოდებს, რომ ფასები უნდა შემცირდეს. რა რესურსი აქვთ კომპანიებს ამისთვის? გაიაფების კომპონენტი სხვადასხვა საკითხზეა დამოკიდებული, დაწყებული საგადასახადო კანონმდებლობით და გაგრძელებული საკუთრივ მოგების შემცირებით. გარდა ამისა, თუ კომპანიები საინვესტიციო, სოციალური და სხვადასხვა პროექტებისთვის განკუთვნილ ხარჯებს შეამცირებენ, მათ ექნებათ რესურსი, მომხმარებელს საწვავი უფრო ნაკლებ ფასში მიაწოდონ," - გვითხრა ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა და იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილმა.

ქართველი ექსპერტები დიდი ხანია საუბრობდნენ იმის თაობაზე, რომ, სხვადასხვა სფეროების მსგავსად, ნავთობპროდუქტების ბაზარზე მონოპოლიაა. მათი განმარტებით, ამ ბაზარზე ელიტური კორუფციის პრობლემა მწვავედ დგას და რომ საწვავის ფასები და მარაგის რაოდენობა ხელისუფლების მხრიდან კონტროლდება.

საქართველოში 2008 წლამდე ნავთობპროდუქტების იმპორტიორი 120 კომპანია ფუნქციონირებდა. დღეისათვის კი, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყანაში ამ ბაზარზე იმპორტსა და რეალიზებას მხოლოდ 5 კომპანია ახორციელებს. ბაზარზე ბევრი კომპანიის არსებობა ხელს უწყობს ნავთობპროდუქტების შემოტანის დივერსიფიკაციასა და კონკურენციას, რაც მომხმარებელს აძლევს საშუალებას, მაღალი ხარისხის პროდუქცია დაბალ ფასად შეიძინოს. სპეციალისტთა განცხადებით, ქართველი მომხმარებელი ამ შესაძლებლობას მოკლებულია, თუმცა ახლა არის მოლოდინი, რომ ბაზარზე ვითარება მომხმარებელთა სასარგებლოდ რადიკალურად შეიცვლება.

ონლაინვაჭრობა პოპულარული ხდება

საქართველოს მომხმარებლისთვის უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ინტერნეტმაღაზიებიდან ნივთების გამოწერა და შეძენა. ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, თუ რა წილი უკავია ჩვეულ ვაჭრობასთან შედარებით ონლაინვაჭრობას და რასაკვირველია ჩვეულებრივ ყიდვა-გაყიდვას აჭარბებს, მაგრამ აშკარაა, რომ ვაჭრობის ეს სახე სულ უფრო პოპულარული ხდება და მეტი მომხმარებელიც უჩნდება.

მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთ უდიდეს ინტერნეტვაჭრობის ამერიკულ კომპანია "Amazon.com,Inc-ს, რომელიც საქართველოში ყველაზე პოპულარულია, 2011 წლის მონაცემებით, 48 მილიარდ დოლარზე მეტი ბრუნვა ჰქონდა, სუფთა მოგებამ კი 631 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ამ დროისთვის კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 56 ათას ადამიანს აჭარბებს. Amazon.com 1994 წელს დააფუძნა მეწარმე ჯეფ ბეზოსმა, ვებ-გვერდი კი 1995 წელს გაუშვეს.

დღევანდელი მდგომარეობით "ამაზონი" 34 კატეგორიის პროდუქციას ყიდის. მათ შორის ელექტრონულ წიგნებს, საყოფაცხოვრებო ტექნიკას, საბავშვო სათამაშოებს, კვების პროდუქტებს, საყოფაცხოვრებო საქონელს, სპორტულ ნაწარმს და მრავალ სხვას. არსებობს სხვა საიტებიც, რომლითაც ინტერნეტ-ვაჭრობაა შესაძლებელი. ამ საიტებს შორის არის www.6pm.com, www.oldnavy.com, www.ibay.com. ასევე არსებობს ონლაინ-აუქციონები, სადაც გასაყიდად გამოტანილ ნივთზე აუქციონი იმართება. ასეთი ონლაინ-აუქციონის საიტებიდან ერთ-ერთია www.bidz.com.

მიზეზი, რის გამოც ქართველი მომხმარებლები ინტერნეტით ყიდულობენ რაიმე ნივთს, სხვადასხვაა. უცხოური ინტერნეტმაღაზიიდან ნივთის ყიდვა ძირითადად შემთხვევებში ბევრად იაფი ჯდება, ვიდრე ადგილობრივ მაღაზიებში შეძენა. ასევე, ინტერნეტით ნაყიდი ნივთი არის ხარისხიანი და ზოგჯერ, ინტერნეტით ვაჭრობის მიზეზი უბრალოა ხოლმე: ელემენტარულად, იგივე ნივთს აქ ვერც იშოვი. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში ინტერნეტით რაიმეს გამოწერა ბევრად ხელსაყრელია.

თუმცა ინტერნეტვაჭრობისას გასათვალისწინებელია რამოდენიმე დეტალი. კერძოდ,

როდესაც რომელიმე უცხოურ ინტერნეტმაღაზიაში შეკვეთას აკეთებთ რაიმე ნივთზე, თუ ნივთის ღირებულება 300 ლარს აღემატება, მაშინ ვალდებული ხდებით ნივთის და ტრანსპორტირების საფასურის გარდა ასევე განბაჟების თანხა - ნივთის ღირებულებას პლუს 18 პროცენტი გადაიხადოთ. შეძენილ პროდუქციას განბაჟება უწევს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამანათის ღირებულება მართალია 300 ლარზე ნაკლებია, მაგრამ მინიმუმ სამ ცალ ზუსტად ერთი და იგივე პროდუქტს შეიცავს. აქ იგულისხმება, რომ ადამიანი გასაყიდად ყიდულობს ამა თუ იმ ნივთებს და არა საკუთარი მოხმარებისთვის.

ონლაინვაჭრობისას მნიშვნელოვანი კომპონენტია გადამზიდავი ფირმები.

როდესაც ნივთს შეუკვეთავთ, უნდა შეარჩიოთ თქვენამდე ტრანსპორტირების ვარიანტებიდან ერთ-ერთი. თქვენი გადასაწყვეტია, დაჩქარებული საფოსტო გადაზიდვით (დიეიჩელი, ფედექსი, იუპიესი, ტიენტი და სხვ.) ისარგებლებთ თუ რამდენიმე დღეს მოიცდით და ჩვეულებრივ გადაზიდვას გამოიყენებთ. დაჩქარებული საფოსტო გადაზიდვა ბევრად ძვირი და იმავდროულად ბევრად სწრაფია.

მაგალითად, Amazon.com-ის პროდუქტი, ელექტრონული წიგნების წამკითხველი მოწყობილობა "ქინდლის" ჩამოტანა ჩვეულებრივი გადამზიდავი ფირმების მეშვეობით დაახლოებით 2 კვირაში 8 ლარად შეგიძლიათ, თუ სწრაფად გსურთ ნივთის მიღება, მაშინ საიტზე მიუთითებთ და რომელიმე დაჩქარებული საფოსტო გადაზიდვის მეშვეობით 20 დოლარად 3 დღეში ჩამოგიტანენ. გადამზიდავი ფირმები ტრანსპორტირების ტარიფს ძირითადად ამანათის წონის მიხედვით ანგარიშობენ. საშუალოდ, 1 კგ-ს ჩამოტანა 7-9 აშშ დოლარი ჯდება. თუმცა, არის სიტუაცია, როდესაც ტრანსპორტირების ტარიფი არა წონით, არამედ მოცულობით იანგარიშება. კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი, რაც გადამზიდავი ფირმის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ, ის არის, რომ აშშ-ი, სხვადასხვა შტატში არის განსხვავებული კანონმდებლობა და ზოგ შტატში ზოგიერთ ტექნიკას დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) ემატება. ასე რომ, უნდა გაითვალისწინოთ რომელ გადამზიდავ ფირმას რომელ შტატში აქვს მისამართი და ასევე, გააჩნია რა სახის საქონელს ყიდულობთ. Amazon.com-ის შემთხვევაში 25 დოლარზე ძვირი ნივთის შეძენისას, აშშ-ს მასშტაბით, ტრანსპორტირება უფასოდ, ე.წ. Free shipping-ის რეჟიმში ხდება. ხანგრძლივობა 5-8 დღეს შეადგენს. თუ უფრო სწრაფად გსურთ ნაყიდი ნივთის ჩამოტანა, მაშინ შეგიძლიათ დაჩქარებული საფოსტო სერვისით ისარგებლოთ და შესაბამისი ფასი გადაიხადოთ.

ონლაინგაყიდვებში არის გაუთვალისწინებელი შემთხვევებიც. კერძოდ,

როდესაც ჩვეულებრივ მაღაზიაში ყიდულობთ რაიმეს, ადგილზე ამოწმებთ ხარისხსაცდა ზომასაც. ცხადია, შედარებით მაღალია რისკი, როდესაც საიტის მეშვეობით იძენთ ტანსაცმელს თუ რაიმე ტექნიკას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ინტერნეტვაჭრობის შემაფერხებლად მიიჩნევა, არის შეკვეთილი ნივთის ხარისხთან ან ზომასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოჩენის ალბათობა. თუმცა, ასეთი შემთხვევები თითქმის არ ხდება.

ინტერნეტვაჭრობა სულ უფრო პოპულარული ხდება, მაგრამ უცხოეთთან შედარებით საქართველოში ჯერ კიდევ ძალიან მცირე რაოდენობა თუ სარგებლობს ინტერნეტით უცხოეთიდან ყიდვის საშუალებით. ალბათ, მატერიალურთან ერთად აქ მენტალიტეტის ფაქტორიც არის, რაც ნელ-ნელა ინტერნეტვაჭრობის სასარგებლოდ იცვლება, რაც შეასბამის გავლენას იქონიებს საქართველოში არსებულ ბრენდული მაღაზიების ვაჭრობაზე.

ვენესუელის პრეზიდენტად კვლავ უგო ჩავესი აირჩიეს

პირველი გვერდიდან

არჩევნებზე რეგისტრირებული იყო სულ 19 მილიონი ამომრჩეველი. გავრცელებული ინფორმაციით, მათმა აქტივობამ 80 პროცენტს გადააჭარბა. ამ დროისთვის დათვლილია ბიულეტენების 90 პროცენტზე მეტი. ეს წინასწარი მონაცემებია, მაგრამ ისინი პრინციპულად აღარ შეიცვლება. ვენესუელის კანონმდებლობით, საარჩევნო კომისიას მხოლოდ მას შემდეგ აქვს პირველი შედეგების გამოცხადების უფლება, რაც ბიულეტენების მნიშვნელოვანი ნაწილი დაითვლება და რომელიმე კანდიდატის უპირატესობა გამოკვეთილი და შეუქცევადი გახდება.

ან უკვე მეოთხედ არჩეული პრეზიდენტი ვენესუელის ხელისუფლებაში პირველად 1998 წელს მოვიდა. მისი მომდევნო პრეზიდენტობის ვადის ათვლა 2013 წლის იანვრიდან დაიწყება და 2020 წლამდე გაგრძელდება. ჩავესს სურდა, მეოთხე ვადით არჩეულიყო პრეზიდენტად, რათა ნავთობით მდიდარ ქვეყანაში იმის კეთება გააეგრძელებინა, რასაც იგი "სოციალისტურ რევოლუციას" უწოდებს.

მიმდინარე საარჩევნო კამპანია ყველაზე დაძაბული და არაპროგნოზირებადი იყო ბოლო ათწლეულების განმავლობაში, რადგან საკმაოდ დიდი გახლდათ კონკურენცია მოქმედ პრეზიდენტსა და მის ოპონენტს - ენრიკე კაპრილეს შორის, რომელსაც მხარს 30 ოპოზიციური პარტია უჭერდა. მისი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება ეკონომიკური ზრდა იყო.

კაპრილესმა აღიარა დამარცხება და პრეზიდენტ ჩავესს გამარჯვება მიულოცა.

გასულ წელს უგო ჩავესს კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ, მისი თქმით, ამ დროისთვის ჯანმრთელობა სრულად აღიდგინა. 58 წლის ქარიზმატულმა პრეზიდენტმა, რომელიც საკუთარი ქმედებებითა და განცხადებებით ხშირად დაპირისპირების მიზეზი ხდება, ეკონომიკის საკვანძო სექტორების ნაციონალიზაცია განახორციელა.

ვენესუელა ნავთობის ერთ-ერთ უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში. ბოლო ათწლეულში ნავთობის მაღალმა ფასმა ჩავესს საშუალება მისცა, გამოეყო მნიშვნელოვანი სახსრები ჯანდაცვის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სოციალურად დაუცველთათვის სახლების მშენებლობის დასაფინანსებლად. ჩავესის განცხადებით, მას კიდევ ერთი ვადით არჩევა სჭირდება, რომ დაასრულოს თავისი "ბოლივარული რევოლუცია," რომელიც ქვეყანას სოციალიზმამდე მიიყვანს.

თუმცა მისი 40 წლის ოპონენტი ენრიკე კაპრილესი და სხვა ოპოზიციონერები მიიჩნევენ, რომ ჩავესის რევოლუციამ ბიუროკრატიის ზრდა, ეკონომიკის ეფექტურობის შემცირება და დეფიციტი გამოიწვია. ოპოზიცა მას ბრალს ავტორიტარიზმში, სასამართლოზე ზეწოლასა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში სდებს.

ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში არჩევნების დღე საყვირების ხმაურით დაიწყო, რომლის საშუალებითაც ჩავესის მხარდამჭერები ცდილობდნენ, ამომრჩეველი პირდაპირი და არაპირდაპირი გაგებით გაეღვიძებინათ.

ოპოზიციის ბანაკის წარმომადგენლებიც გამოვიდნენ ქუჩაში, თუმცა არა მუსიკალური ინსტრუმენტებით, არამედ ქვაბებით. მათი აზრით, ჭურჭლის ხმაური უნდა გამხდარიყო "გამოსამშვიდებელი სიმღერა" უგო ჩავესისთვის ("ქვაბებისა და ტაფების" პროტესტი სამხრეთ ამერიკისთვის დამახასიათებელი მოვლენაა).

სკოლის შენობების გასწვრივ, სადაც საარჩევნო უბნები მდებარეობდა, ხმის მიცემის მსურველთა დიდი რიგები იყო. გერარდო მონტემარომ, რომელიც არჩევნებზე საარჩევნო უბნის გახსნამდე მივიდა, თან სკამი მიიტანა. "ვიცოდი, რომ გრძელი რიგი დამხვდებოდა," - განაცხადა მან.

დაახლოებით 100 ათასმა ადამიანმა მისცა ხმას ვენესუელის საელჩოებში საზღვარგარეთ, მათ შორის იმ ორმა ათასმა ვენესუელელმაც, რომლებიც დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში ცხოვრობენ. ლონდონის ცენტრში, ვენესუელის საკონსულოს პირდაპირ, კვირას ასობით ადამიანი შეიკრიბა. "ბი-ბი-სის" ჟურნალისტის განცხადებით, მათგან არც ერთი არ იყო ჩავესის მომხრე.

თავად ვენესუელაში, წესრიგის შენარჩუნების მიზნით, სხვადასხვა საარჩევნო ოლქში დაახლოებით 140 ათასი ჯარისკაცი გაიგზავნა. ხელისუფლება ჩავესის დამარცხების შემთხვევაში არეულობებს ელოდა.

პროკურატურა "პროტესტის ანატომია-2"-ში მოყვანილ ფაქტებს შეამოწმებს

გენერალური პროკურატურისა და საგამოძიებო კომიტეტის განცხადებით, ისინი გადაამოწმებენ "პროტესტის ანატომია 2"-ში გამჟღავნებულ ინფორმაციას, რომელიც პარასკევ საღამოს რუსულ ტელეარხ "ენ-ტე-ვე"-ზე გაშუქდა. ფილმის ავტორი ამტკიცებს, რომ რუსეთის ოპოზიცია ამზადებს მასობრივ არეულობებს რამდენიმე ქალაქში და ასევე ფიქრობს ხელისუფლებაში მოსვლის ძალისმიერ გზებზე.

გენპროკურატორის განცხადებაში ნათქვამია, რომ გენერალურმა პროკურორმა იური ჩაიკამ განკარგულება გასცა, გამოიძიონ ფილმში გახმოვანებული ცნობებიც. კანონის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში მიღებული იქნება შესაბამისი ზომები.

გამომძიებლებმა, ამას გარდა, განაცხადეს, რომ გრძელდება გამოძიება 6 მაისს "ბალოტნაიას" მოედანზე მომხდარი მასობრივი არეულობის ორგანიზებასა და მასში მონაწილეობის საკითხზე. მასობრივი არეულობა ვლადიმირ პუტინის ინაუგურაციის დღეს გამართულ საპროტესტო აქციას მოჰყვა. საბოლოოდ, "მილიონების მარში" სპეცრაზმთან შეტაკებით დასრულდა. "ბალოტნაიას საქმეში" ეჭვმიტანილია 17 ადამიანი. ოთხ მათგანს ქვეყნიდან გაუსვლელობის ხელწერილი აქვს დადებული, ერთი შინაპატიმრობაშია, ხოლო დანარჩენები საგამოძიებო იზოლატორში იმყოფებიან.

"პროტესტის ანატომია 2"-ის ავტორი ამტკიცებს, რომ ოპოზიცია ემზადება ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად უცხოეთიდან მიღებული თანხებით. განსაკუთრებული ყურადღება ფილმში გამახვილებულია "მემარცხენე ფრონტის" ლიდერ სერგეი უდალცოვზე. მათი აზრით, სწორედ ის ამზადებს ასეთ გეგმებს, რომელსაც ქართველ პოლიტიკოსთან ერთად (იგულისხმება გივი თარგამაძე) განიხილავს. თავად უდალცოვი ყველა ბრალდებას უარყოფს და მას "გიჟის ნაბოდვარს" უწოდებს. ოპოზიციონერმა განაცხადა, რომ არასდროს გაუგია იმ პოლიტიკოსის გვარი, რომელიც ფილმშია დასახელებული.

"მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 6 მაისს ბალოტნაიას მოედანზე მომხდარ მოვლენებზე, მე ვიმყოფები ტოტალური წნეხის - მოსმენის, დაკვირვების, ძიების ქვეშ," - პოლიტიკოსის განცხადებით, მისი სახლი ზაფხულში ორჯერ გადაქექეს. "მათ ვერ ნახეს ვერც ერთი უკანონო რუბლი, დოლარი, ევრო და არ შემეშინდება ამ სიტყვის თქმა - ქართული ლარიც," - დაამატა მან. მისი განცხადებით, ის ამ სიტუაციას იურისტებთან ერთად განიხილავს.

ფილმში გაშუქებული ინფორმაციის გადამოწმების მოთხოვნით საგამოძიებო კომიტეტსა და პროკურატურას "ედნაია როსიას" რამდენიმე დეპუტატმა, ფედერაციის საბჭოს ვიცესპიკერმა და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა მიმართეს. კომუნისტები და "სპრავედლივაია როსია" მას სკეპტიკურად უყურებენ და ფაბრიკაციას უწოდებენ. ოპოზიციის რამდენიმე აქტივისტმა შაბათსა და კვირას "ოსტანკინოს" ტელეცენტრის წინ ერთკაციანი პიკეტები გამართა.

ეს ფილმი "პროტესტის ანატომიის" მეორე სერიაა. პირველმა სერიამ 2012 წლის მარტში, მასობრივ მიტინგებზე ოპოზიციის მხარდამჭერების აღშფოთება უკვე გამოიწვია. ტელეფილმი მოგვითხრობდა იმის შესახებ, რომ მასობრივ აქციებზე მხარდამჭერები მიდიოდნენ ფულის სანაცვლოდ, ასევე ნამცხვრებისთვის, რომელიც აქციებზე უფასოდ რიგდებოდა.

უდალცოვის განცხადებით, ძირითადი და სამწუხარო დასკვნა, რაც, შეიძლება, "პროტესტის ანატომია 2"-ის დემონსტრირების შემდეგ გამოვიტანოთ, ისაა, რომ ოპოზიციასა და მთავრობას შორის დიალოგი მოსალოდნელი არ არის.

P.S. უდალცოვი წუხელ უკვე დაიბარეს პროკურატურაში.

"ბი-ბი-სის" მასალების მიხედვით მოამზადა სალომე ჯანიაშვილმა

რომნი ობამას ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკას აკრიტიკებს

ვირჯინიის შტატში, სამხედრო აკადემიაში გამოსვლისას ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატმა მიტ რომნიმ განაცხადა, რომ აპირებს ამერიკის ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის გაკრიტიკებას. რომნის აზრით, დღესდღეობით ამერიკას ახლო აღმოსავლეთში საკუთარი პოლიტიკა არ გააჩნია და მხოლოდ "დინებას მიჰყვება". რესპუბლიკელების კანდიდატის განცხადებით, მსგავსი მიდგომა ქვეყანას იქამდე მიიყვანს, რომ ამერიკას არც საკუთარი მოქალაქეებისა და არც მოკავშირეების დაცვა აღარ შეეძლება. ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები 6 ნოემბერს არის დანიშნული. უკანასკნელი გამოკითხვების მიხედვით, ობამას ამომრჩევლის 47 პროცენტი უჭერს მხარს, რომნის კი - 45 პროცენტი.

პუტინი ხელისუფლებიდან წასვლისთვის მზად არის, თუმცა უცნობია, როდის

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა "ენ-ტე-ვესთვის" მიცემულ ინტერვიუში გუშინ განაცხადა, რომ მისთვის ხელისუფლების დათმობა სირთულეს არ წარმოადგენს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ 2008 წელს მან უკვე დატოვა პრეზიდენტის თანამდებობა და ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანას რეალურად ის აღარ მართავდა. თუმცა აღნიშნულს მრავალი ანალიტიკოსი არ ეთანხმება, რომელთა აზრით მედვედევის პრეზიდენტობის დროსაც ქვეყნის პოლიტიკაში გადამწყვეტი ხმა კვლავ პუტინს ეკუთვნოდა. ინტერვიუში პუტინმა ისიც აღნიშნა, რომ ოპოზიციაში პერსპექტიულ სახეებს ვერ ხედავს. მისი თქმით, ოპოზიციის ლიდერებად ის ხალხი შეიძლება იყვნენ, ვისაც საქმის გაკეთება შეუძლია და არა მხოლოდ ტრიბუნიდან ხმამაღალი კრიტიკა. ვლადიმირ პუტინმა ისიც განაცხადა, რომ თუ "იუკოსის" ყოფილი ხელმძღვანელი მიხაილ ხოდორკოვსკი შესაფერის თხოვნას გააგზავნის, მზად არის, მისი შეწყალების საკითხიც განიხილოს. ხოდორკოვსკისა და მის კოლეგას - პლატონ ლებედევს "საერთაშორისო ამნისტიამ" სინდისის პატიმრების სტატუსი მიანიჭა.

დაღესტანში გატაცებული პოლიციელი მოკლეს

დაღესტანის ქალაქ ბუინაკსკში იმ პოლიციელის ცხედარი იპოვნეს, რომელიც ცოტა ხნის წინ დაიკარგა. საგამოძიებო განყოფილების ცნობით, პოლიციელი დახვრიტეს. დანაშაულის ადგილზე საგამოძიებო ჯგუფი მუშაობს.

მალდივის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი დააკავეს

"ბი-ბი-სის" ცნობით, მალდივის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი მოჰამედ ნაშიდი მას შემდეგ დააკავეს, რაც მან სასამართლოში გამოცხადებაზე უარი განაცხადა. ქვეყნის ყოფილ ლიდერს ბრალად თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება ედება. ქვეყნის დემოკრატიული პარტიის განცხადებით, მოჰამედი პოლიციამ საპროტესტო აქციის მსვლელობის დროს დააკავა.

მორიგი დაპირისპირება ისრაელსა და ღაზას სექტორს შორის

ისრაელის განცხადებით, ორშაბათს ღაზას სექტორზე დარტყმა მას შემდეგ განახორციელეს, რაც პალესტინელმა შეიარაღებულმა მებრძოლებმა სამხრეთ ისრაელის ტერიტორიას რაკეტები ესროლეს. აღნიშნული კი, თავის მხრივ, კვირას განხორციელებულ ისრაელის საჰაერო იერიშზე პასუხი იყო, რის შედეგადაც ორი შეირაღებული მებრძოლი დაიჭრა. ისრაელის არმიის წარმომადგენლის თანახმად, მათი სამიზნე "ჰამასის ტერორისტული ფრთის შენობები და ის ტერორისტები იყვნენ, რომლებმაც რაკეტები ისროლეს." ღაზას სექტორის სამხრეთით, ქალაქ ხან იუნისის მცხოვრებლების თქმით, ისრაელის მხრიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად მსუბუქად დაიჭრა ოთხი ბავშვი და მეჩეთი დაზიანდა. ისრაელის არმია აცხადებს, რომ მხოლოდ ამ წელს ღაზას ტერიტორიიდან 470 რაკეტა ისროლეს, აქედან ათი - ოქტომბრის თვეში.

ლიბიის პრემიერი ერთთვიანი "მუშაობის" შემდეგ გადააყენეს

ლიბიის პარლამენტმა თანამდებობიდან გადააყენა პრემიერ-მინისტრი მუსტაფა აბუ შაგური, მას შემდეგ, რაც არ დაამტკიცა მის მიერ წარდგენილი მეორე კაბინეტი. ის პირველი არჩეული პრემიერი იყო ლიბიაში კადაფის ხელისუფლების ცვლილების შემდეგ. პრემიერის პოსტზე აბუ შაგური პარლამენტმა სექტემბერში დაამტკიცა. მას კანონით ორჯერ შეეძლო მთავრობის შემადგენლობის წარდგენა საკანონმდებლო ორგანოსთვის. ბოლო კვირაში მან ორი სია წარადგინა და ორივე დაუწუნეს. პირველი შემადგენლობა პარლამენტმა ხუთშაბათს არ მიიღო. ამ კაბინეტში მინისტრობის 29 კანდიდატი შედიოდა. პარლამენტმა მიიჩნია, რომ მასში სათანადოდ არ იყო წარმოდგენილი ყველა რეგიონი, ამას გარდა, რიგი მინისტრების კვალიფიკაციაც დაბალი იყო. მეორე ცდაზე მუსტაფა აბუ შაგურმა სულ ათი მინისტრის გვარი წარადგინა, რომლებიც ასევე უარყვეს. წინააღმდეგი იყო საერთო ეროვნული კონგრესის 125 დეპუტატი, მომხრე - 44. 17 დეპუტატმა თავი შეიკავა. კონგრესს ახალი პრემიერ-მინისტრის არჩევა უახლოესი სამი-ოთხი კვირის განმავლობაში მოუწევს.

მოამზადა თამთა კახაძემ

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ

10 ოქტომბერი, 18 სთ.
ანდრონიკაშვილი ზაალი, ლიტერატურათმცოდნე, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მოხსენება: "ხალხთა სტუმართმოყვარეობა: ეთნიკური ნაციონალიზმის გენეალოგია"

17 ოქტომბერი, 18 სთ.
გიგინეიშვილი ლევანი, მედიევისტი, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მოხსენება: "სოკრატე და პოლიტიკა".

24 ოქტომბერი, 18 სთ.
ბექა მინდიაშვილი, თეოლოგი, სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი
მოხსენება: "ეკლესიის ძალაუფლება".

31 ოქტომბერი, 18 სთ.
ლევან აბაშიძე, თეოლოგი, ფიზიკოსი
მოხსენება: "ქრისტიანული სარწმუნოება და თანამედროვე მეცნიერება".

7 ნოემბერი, 18 სთ.
ჯავახია ბეჟან, მედიევისტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერისტეტის სრული პროფესორი
მოხსენება: "რომის იდეა შუა საუკუნეების საქართველოში"

14 ნოემბერი, 18 სთ.
გია ნოდია, პოლიტოლოგი, ილიას უნივერსიტეტის სრული პროფესორი
მოხსენება: "სეკულარიზაცია თუ დესეკულარიზაცია: თანამედროვე ტენდენციები"

21 ნოემბერი, 18 სთ.
გაბრიელე ბრაგანტინი, მღვდელი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
მოხსენება: "მე-13 საუკუნე: ეკლესიათა გაერთიანების მცდელობა"

28 ნოემბერი, 18 სთ.
ცოფურაშვილი თამარ, ფილოსოფოსი, ასოცირებული პროფესორი, ილიას უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მოხსენება: "ქრისტიანობა, როგორც თანასწორობის რელიგია"

5 დეკემბერი, 18 სთ.
გიგა ზედანია, ფილოსოფოსი, სრული პროფესორი
ილიას უნივერსიტეტის მოდერნულობის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი
მოხსენება: "სტუმართმოყვარეობის პრაქტიკები: ფილოსოფია, რელიგია, ლიტერატურა"

12 დეკემბერი, 18 სთ.
გიორგი სანიკიძე, აღმოსავლეთმცოდნე, სრული პროფესორი
ილიას უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი
მოხსენება: "ისლამი, სეკულარიზმი და ვესტერნიზაცია"

19 დეკემბერი, 18 სთ.
თამარ პატარიძე, ასიროლოგი
ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი
მოხსენება: "სირიული ეკლესიები: ისტორიული და თანამედროვე კონსტექსტი"

26 დეკემბერი, 18 სთ.
თემურ ბუაძე, თეოლოგი
თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი
მოხსენება: "ღმერთის იდეა ანტიკურ სამყაროში"

მოდერატორი:
დავით თინიკაშვილი
ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტი

ᲒᲐᲚᲐ - ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დღესაც, როცა საზოგადოების ყურადღება მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებისაკენ არის მიმართული, შეიძლება ჩვენი სტატიაც ნაკლებად აქტუალურად ჟღერდეს, თუმცა კი "გალას" პრემია მხოლოდ ავტორებისთვის არ არის სასიხარულო და მნიშვნელოვანი, ეს ზოგადად ქართული ლიტერატურის განვითარების სურათს ასახავს. სწორედ ამიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ მასზე საუბარი.

შეგახსენებთ გამარჯვებულებს, რომლებიც შვიდ ნომინაციაში გამოვლინდნენ:

წლის ლიტერატურული პროექტი: "დიოგენეს ბიბლიოთეკა"; წიგნის მხატვრობისათვის - თამარ ბაქრაძე "ბარონი მიუნჰაუზენი"; საბავშვო წიგნი - თეა თოფურია "გასაღვიძებელი ზღაპრები"; თარგმნილი წიგნი: ჯ. ჯოისი "ულისე", მთარგმნელი ნიკო ყიასაშვილი; სამაგიდო წიგნი - ბესიკ ხარანაული "ლექსები - პოემები"; წლის წიგნი - ბაადურ ბალარჯიშვილი "კიპარისები"; საუკეთესო სცენარი - მარიამ ხაჭვანი.

მიმოხილვას "დიოგენეს ბიბლიოთეკით" დავიწყებთ, რომელიც იმ თარგმანების სერიას წარმოადგენს, თეთრ ლაქებად რომ აჩნდა ქართულ ლიტერატურას.

"დიოგენეს ბიბლიოთეკის" ახალი სერიის პრეზენტაცია წელს თბილისის წიგნის ფესტივალზე შედგა. გამომცემლობამ მსოფლიო ლიტერატურის შედევრებიდან ერთბაშად შვიდი სხვადასხვა ავტორის მხატვრული თუ არამხატვრული ნაწარმოები წარმოგვიდგინა. "დიოგენეს ბიბლიოთეკის" ავტორთა თუ ნაწარმოებთა უმრავლესობა პირველად გამოვა ქართულ ენაზე. სერიაში ბევრ ისეთ წიგნს შეხვდებით, რომლებსაც კრიტიკოსები აღმატებითი ეპითეტებით ახასიათებენ: ლეგენდარული, ეპოქალური, უმნიშვნელოვანესი.

ზოგ მათგანს კინოეკრანიზაციით ვიცნობთ, როგორც, მაგალითად, ჩაკ პალანიკის "მებრძოლთა კლუბს" - დევიდ ფინჩერის ამავე სახელწოდების ფილმით, წიგნი ნიკა სამუშიამ თარგმნა. ედით იორტონის "უმანკოების ხანა" ის რომანია, რომლისთვისაც მწერალმა ქალმა პულიცერის პრემია მიიღო, ქართველი მკითხველი მას ანი კოპალიანის თარგმანით გაეცნო. ბევრი ჩვენგანისათვის აღმოჩენა იყო იუმორისტული ლიტერატურის კლასიკოსი პელემ გრენვილ ვუდჰაუსი, რომლის გმირები ინგლისელი არისტოკრატი ბერტი ვუსტერი და მისი გამჭრიახი კამერდინერი ჯივზი მსოფლიო ლიტერატურაში ისევე ცნობილები არიან, როგორც შერლოკ ჰოლმსი და ექიმი უოტსონი. წიგნით "დაიკიდე, ჯივზ!" ქართველი მკითხველი გია ჭუმბურიძის თარგმანით პირველად გაეცნობა მათ.

"დიოგენეს ბიბლიოთეკის" სერიაში შევიდა უილიამ ფოლკნერის "დროშები მტვერში", მისი პირველი რომანი იოკნაპატოფას საგიდან, ზაზა ჭილაძის თარგმანით და ორჰან ფამუქის "სტამბოლი" (თამარ ალფენიძის თარგმანი), რომელიც ამ პოპულარული თურქი მწერლის ერთ-ერთ საუკეთესო რომანად ითვლება. ამავე სერიით გამოიცა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნიუ იორკელი მწერლის პოლ ოსტერის "მისნის ღამე", ქეთი ქანთარიას თარგმანით და უმბერტო ეკოსა და კარდინალ მარტინის მიმოწერა - ეს მხატვრული ლიტერატურა არ გახლავთ, მაგრამ უაღრესად საინტერესოა მასში დასმული საკითხების აქტუალურობით, რაც ქართულ საზოგადოებას ძალიან სჭირდება. "დიოგენეს ბიბლიოთეკას" ახლახან შეემატა ჯონ მაქსველ კუტზეეს "სირცხვილი," მალე კი ჩვენს თაროებზე ჯონ კერუაკის "გზაც" გამოჩნდება.

"დიოგენეს ბიბლიოთეკას" მკითხველებმა უკვე უწოდეს "საგანძური", ხოლო "გალას" ეს ნომინაცია, რომელიც საუკეთესო ლიტერატურული პროექტების წახალისებას ემსახურება, ზოგადად ქართული კულტურის განვითარებისთვის არის მნიშვნელოვანი. ამ კონტექსტშივეა აღსანიშნავი "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" მიერ ჯეიმს ჯოისის "ულისეს" დასრულებული თარგმანის გამოცემა, რომელიც ეპოქალური წიგნის ეპოქალურ თარგმანს წარმოადგენს და რომელიც ნიკო ყიასაშვილის დიდი ღვაწლისა და პროფესიონალიზმის წყალობით გახდა ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი.

კონკურსებსა და პრემიებს, როგორც წესი, აზრთა სხვადასხვაობა ახლავს თან. სამაგიდო წიგნად ბესიკ ხარანაულის "ლექსებისა და პოემების" დასახელება ის შემთხვევაა, როცა მკითხველი და ჟიური ერთმანეთის მიმართ სრულ ჰარმონიაში არიან, რადგან ბესიკ ხარანაული ის ავტორია, სამაგიდოდ რომ ქცეულა პოეზიის მოყვარულთათვის. სხვადასხვა ფორუმებსა და სოციალურ ქსელებს რომ თვალი გადავავლოთ, მისი ციტირება ყველაზე ხშირად ხდება ოთარ ჭილაძის გვერდით. მკითხველი "თავის" ავტორთან დამოუკიდებლად მიდის, ამიტომაც რთულია იმის თქმა, რა მოსწონს 21-ე საუკუნის მკითხველს ბესიკ ხარანაულთან, რომელსაც მოწინააღმდეგეთა მთელი არმია ჰყავდა თავის თაობაში. მე მხოლოდ ვიტყვი, რა არის მისი დამსახურება ქართული პოეზიის წინაშე - ეს, უპირველეს ყოვლისა, ქართული ლექსის გალაკტიონისეული რიტმისა და ფორმის არტახებიდან დახსნაა, რაც უკვე დამაბრკოლებელი ხდებოდა პოეზიის პროცესის და რასაც ცალკეულ ავტორთა მცდელობები ვერ შველოდა. ბესიკ ხარანაულის "მოზვავებამ" მოგვცა ლექსის ახალი ფორმა თანამედროვე პოეზიაში და, რაც მთავარია, ქართულ ლექსს გაუხსნა გზა ფორმათა ინტერპრეტაციისაკენ. წიგნი გამომცემლობა "ინტელექტმა" გამოსცა და მასში 1954-2005 წლებში დაწერილი ლექსებია შესული, შეიძლება ითქვას, მწერლის შემოქმედების ერთგვარი შეჯამებაა. ამ 900-გვერდიან წიგნში შეტანილია 1954 წელს ჟურნალ "დროშაში" დაბეჭდილი ის სადებიუტო ლექსებიც, რომლებიდანაც, ავტორის თქმით, მისი პოეტური ცნობიერება იწყება.

"გალა" არა ავტორების, არამედ წიგნების პრემიაა, სწორედ ამან განაპირობა საგამომცემლო საქმის ისეთ დარგზე აქცენტირება, როგორიცაა ილუსტრაცია. ილუსტრაცია, გნებავთ წიგნის შემკობა, თანამდევი პროცესია ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნების, რომელიც უხსოვარი დროიდან თან ერთვოდა რელიგიურ და საკულტო წიგნებსაც. შეიძლება ითქვას, წიგნს, რომელსაც ილუსტრაცია ერთვის, სწორედ ამის წყალობით გამოვარჩევთ სხვა წიგნებისაგან და ვერასდროს ვივიწყებთ. ჩვენს დროში განსაკუთრებული აქტუალურობა ილუსტრაციამ საბავშვო ლიტერატურაში შეიძინა. ამ დარგშიც კომუნისტური პერიოდის შემდეგ გარკვეული წყვეტა იყო, რაც ნელ-ნელა აღდგა და საბავშვო გამომცემლობებმა ქართველ მხატვრებთან თანამშრომლობა კვლავ განაახლეს. ამის შედეგია თამარ ბაქრაძის ილუსტრირებული "ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი", რომელიც მზია ერისთავის თარგმანის ხელახალი გამოცემაა და ჩემს ბავშვობაშიც მას საინტერესო გრაფიკული ილუსტრაციები ახლდა. როგორც გამომცემლობის პროექტების მენეჯერმა თინათინ კუხიანიძემ გვითხრა, მათ სათანამშრომლოდ მიიწვიეს სახელოსნო "ვირგამი", ახალგაზრდა ილუსტრატორთა ჯგუფი, რომელთა მხატვრობით გამოცემული "ლაშას და ლუკას თავგადასავალი", "ვენახი", "აი ია", "მდინარე" ასევე წარდგენილი იყო "გალაზე". გამომცემლობასთან თანამშრომლობა ნებისმიერ ილუსტრატორს შეუძლია, მუდამ არის მოთხოვნილება ახალი ხელწერის, რაც საბავშვო ლიტერატურის სტილითაა გამოწვეული. უნდა აღინიშნოს, რომ "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" ამგვარმა დამოკიდებულებამ მოგვცა სრულიად ახლებურად გააზრებული "ვეფხისტყაოსანი", დათო მაჭავარიანის მხატვრობით.

მადლიერებით უნდა აღვნიშნო, რომ "გალას" ინტერესთა სფეროში საბავშო ლიტერატურაცაა მოქცეული. მადლიერებით იმიტომ, რომ საბავშვო ლიტერატურა მუდამ შვილობილის თუ გერის როლში იყო ქართულ მწერლობაში და მასზე სერიოზულ აქცენტს არასოდეს აკეთებდნენ. ბაზრის მოთხოვნამ და ამ კუთხით გამომცემლობების გააქტიურებამ საბავშვო ლიტერატურისაკენ მწერალთა დიდი ნაწილი შემოაბრუნა. თეა თოფურიას "გასაღვიძებელი ზღაპრები" ამის თვალსაჩინო მაგალითია, ისევე, როგორც ამავე ნომინაციაში დასახელებული ავტორის ნატო დავითაშვილის ფენტეზის ჟანრის ნაწარმოებები, რაც პირდაპირი და კარგი გაგებით შემოეშველა ჟანრულ კრიზისში მყოფ ქართულ მწერლობას. იგივე შეიძლება ითქვას კინოსცენარის ნომინაციაზე, რაც"გალას" ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით დაემატა. მართალია, ვერაფერს ვიტყვი მარიამ ხაჭვანის კინოსცენარზე "დედე", მაგრამ, სამაგიეროდ, შემიძლია, მწერალ მიხო მოსულიშვილის შეფასება მოვიშველიო, რომელიც რამდენიმე დღის წინ წერდა: ამ ახალგაზრდა რეჟისორს კინოს საკუთარი შეგრძნება გააჩნია და "დედე", რომელიც სწორედ მიხო მოსულიშვილის დახმარებით რედაქტირდა, საინტერესო კინოსცენარს წარმოადგენსო. ვისთვისაც მიხო მოსულიშვილის აზრი ავტორიტეტულია, შეგიძლიათ, ჩემსავით ენდოთ და აქვე ახლახან გარდაცვლილი ბაადურ ბალარჯიშვილის პოეტური კრებული "კიპარისებიც" ნახოთ, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეგობრებმა გამოსცეს. ისევ მიხო მოსულიშვილს დავესესხები და ვიტყვი, რომ ეს კოლორიტული პოეტი თანამედროვე მკითხველს ჯერ კიდევ აღმოსაჩენი და დასაფასებელი ჰყავს.

თვალსაზრისი

ცოტა რამ "არტისტერიუმისა" და დამთვალიერებლის პროტესტზე

ანა წულუკიძე

ორი თუ სამი დღის წინ გაიხსნა რიგით მეხუთე არტისტერიუმი. ანუ საქართველოში თანამედროვე ხელოვნების ყველაზე დიდი ფესტივალი. პროგრამას სწორედ ამ გაზეთში გავეცანი და გახსნიდან მეორე დღეს ფესტივალის ეპიცენტრში - თბილისის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში შევიჭერი. გარეთ - თბილისობის" სმა-ჭამა დიდად შესარგი და ღრიანცელი, ქარვასლაში" - დუმილი და სრულიად არაფერი. თუმცა იყო ერთი ძახილი - უკვე გალერეაში მცველი გამომეკიდა და სამი ლარი მომთხოვა. ისე არ შეიძლებაო. მოლარე ამოვა და გადაუხადეო. მოლარე არ ამოსულა... თუმცა, რომც ამუსულიყო, არ გადავიხდიდი, ეს იქნებოდა არა ხელმომჭირნეობა და კანონდარღვევა, არამედ ჩემი პროტესტი. პროტესტი იმაზე, თუ რას მთავაზობენ თანამედროვე ხელოვნების სახელით. პროტესტი იმის გამო, თუ როგორ მთავაზობს ამას საორგანიზაციო ჯგუფი და მუზეუმი...

წელს ფესტივალის სლოგანია პროტესტი, რომელიც არასოდეს მთავრდება," მაგრამ უცნაური ის არის, რომ ქარვასლაში" თავმოყრილი მხატვრების ნამუშევრები იდეის სიღრმისეულ ანალიზს ვერ გვთავაზობს და მხოლოდ ზედაპირულად ეხება პროტესტს, ანდა საერთოდ უხილავია მათ მიერ თემის დამუშავების მცდელობა. თუმცა არტისტერიუმის" მიზანი, გამოფენებზე რაც შეიძლება მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ, ამჯერადაც მიღწეულია. სამწუხაროდ, მგონი, მიზანი თვითმიზნურია და მათ ერთამენთთან არაფერი აკავშირებს, გარდა იმისა, რომ ვერ ვიგონებ კარგად მომზადებულ და კულტურულად წარმოდგენილი ნამუშევარს. ამის საპიწონედ იმასაც გეტყვით, რომ ვერ ვიგონებ ნამუშევარს, რომელიც დამამახსოვრებელი ან კონცეპტუალური სიზუსტითა და სისხარტით, ანდა მხოლოდ ვიზუალური ეფექტურობით, ან ვიზუალის ენერგიით, ძალით, ხედვით. საქმე გვაქვს მეათეხარისხოვან პროდუქტთან, რომლებიც თავმოყრილია მხოლოდ იმიტომ, რომ სადღაც ჩაგვეთვალოს - ჩვენ ვფენთ თანამედროვე ხელოვნებასაც.

ამ გამოფენას დამთვალიერებელი არ ეყოლება და შემდეგ ქართველი არტისტები აუცილებლად იტყვიან, რომ თანამედროვე ხელოვნება საქართველოში არ აინტერესებთ, და რიგ მიზეზებს შორის აუცილებლად დაასახელებენ საზოგადოების გაუნათლებლობასა და გარკვეული უწყებების უინტერესობას. მეტიც, საზოგადოება და პოტენციური დამთვალიერებელი, აუდიტორია, რომლის ზრდამ და ინტერესმა უნდა განავითაროს ე.წ. ბაზარი და საგამოფენო-საგალერეო საქმეც, აშკარად აიყრის გულს სფეროსგან, რომლის საუკეთესო მაგალითების ხილვის საშუალება საქართველოს საზღვრებს გარეთ იშვიათად აქვს. მეც სწორედ ამ საკითხს მინდა გამოვეხმაურო. არტისტერიუმის" მთავარი ექსპოზიციის ანალიზის არც მიზანი და არც სურვილი რომ არ მაქვს, ამას მკითხველი შემამჩნევდა.

რამდენიმე თვის წინ საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში აშშ-ში მცხოვრები ქართველი მხატვრის - ლადო ფოჩხუას გამოფენა მიმდინარეობდა. იქ მისულს თანამშრომელმა მითხრა, - მართალია, საინფორმაციო ტექსტი არ გვაქვს, მაგრამ გეტყვით, რომ იქაური ცოლი მოიყვანა და მას შენდეგ ნიუ იორკში ცხოვრობსო. ყოველთვის ასერიგად საინტერესოდ არ ხდება მხატვრების წარდგინება. რიგ შემთხვევაში, ისე როგორც ქარვასლაში" ამჟამად, გარემოც და თანამშრომლებიც არაფერს უწყიან, რა ხდება და რატომ; და არც კურატორებს აქვთ მომზადებული ღრმა ანალიზი იმისა, თუ რატომ გამოფინეს მაინცდამაინც ეს ნამუშევარი" და რა პრინციპით შეირჩა. რიგით დამთვალიერებელს კი ნამდვილად არ აქვს საშუალება, ორგანიზატორებს გაესაუბროს. ის მიდის, იხედება სივრცეში და მოდის და სწორედ იქ უნდა შესთავაზონ როგორც კარგად გაზრებული ექსპოზიცია, ისე ხარისხიანი ნამუშევრები და, ამავე დროს, ინფორმაცია, რომელიც მას გარკვეულ სირთულეებს გადაალახინებს.

გუშინ ცნობილი გახდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პოტენციური ხელმძღვანელის ვინაობა. თუკი პარლამენტი გურამ ოდიშარიას მინისტრად დაამტკიცებს, მაშინ მას იმაზე დიდი პრობლემა არ ექნება გადასაწყვეტი, ვიდრე სამინისტროს კეთილსინდისიერი და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებაა. ამ კადრებმა უნდა უზრუნველყონ არა მხოლოდ აქტიური მუშაობა სხვადასხვა სფეროში მყარი და სტაბილური პროცესების ჩამოყალიბებისთვის, არამედ უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი იმაზე, რომ დაფინანსდება მხოლოდ ხარისხიანი პროექტები და არა - პროექტები ზედაპირული ეფექტების მოსახდენად.

საინტერესოა, ამჟამინდელი სამინისტროს რომელი დეპარტამენტი იღებს ხოლმე პასუხისმგებლობას არტისტერერიუმისა" და სხვა ამ ტიპის, სახელდახელოდ შეკოწიწებული ფესტივალების ხარისხსა და შედეგებზე? მეტყვით, რომ წარსულს მნიშვნელობა არ აქვს? აქვს, თუკი ერთხელ და სამუდამოდ ამ ქვეყანაშიც გადავწყვეტთ შეცდომებზე რაღაცის სწავლას.

ფავორიტები და მეგატვინი

ზურაბ თალაკვაძე

ევროლიგის ამბები მომენატრა. ამერიკული თემა სხვა მუღამია. ამერიკაში ლებრონები და პარკერები სხვა კალათბურთს თამაშობენ. ჯეიმსის როიალური ბრექობა, ტონის ფრანგული ცინიზმი, დიურანის ელეგანტური სადიზმი და დერონის თვალები დიდი, პრივატული სამოთხეა. ევროლიგა ევრობასკეტის გარჩევებია და ამ ტესტებშიც კარგი ბიჭები არიან. კარგი ბიჭები კარგი CV-თ, მოქნილი აზროვნებით და პიანისტის თითებით. ევროლიგა შარშან "ოლიმპიაკოსმა" მოიგო. იდეაში, არ უნდა მოეგო და მოიგო. ფინალამდე ბერძნებს ცოტა გაუმართლათ, ცოტა სხვებმა ვერ შეასრულეს და ფინალში "ოლიმპიაკოსი" ტერმინატორზე გავიდა. მოსკოვის ცსკა იმ ევროლიგის "ლეიკერსი", "მაიამი", "სან ანტონიო", ჯონ რემბო იყო. და "ოლიმპიაკოსმა" ანდრეი კირილენკოს, ალექსეი შვედის და კიდევ ბევრი პოპულარული მილიონერის ბანდა ბოლო მეოთხედში გააჩერა. ახალ ევროლიგას თავისი ფავორიტები ჰყავს. ტურნირი 11 ოქტომბერს გაიხსნება.

"ბარსელონა" ფავორიტია. ბოსებმა დაიტოვეს მაგარი კაცები - ხუან კარლოს ნავარო, ერაზემ ლორბეკი, ჯო ინგლესი და სი ჯეი უოლასი. "რეალიდან" გაშანსეს ცენტრი ანტე ტომიჩი. ბიჭმა ნიჭის გამოყენება უნდა ისწავლოს და მაგარი ბიჭი იქნება. ტომიჩი სამწამიანში პატარა ოფისს გახსნის და იმ ოფისთან პიტ მიკეალი და "ხიმკიდან" წამოსული ნეიტ ჯავაი იგულავებენ. ჯავაი თავისი ცენტნერიანი უკანალით და მიკეალი დაჟანგული მაჩეტეთი. ბარსელონაში დაბრუნდა შარუნას იასიკიავიჩუსი. ლიტველი სანტინო კორლეონე, კალათბურთის დოუელი სადღაც გაქაჩავს. ალეხანდრო არბინესი (1993) მომავალია. მარკო ტოდოროვიჩიც (1992).

"რეალი" აქ იგივე თემაა, რაც ფეხბურთში. იქ "ბარსელონა" მიკ ჯაგერია და "რეალი" მოსაგებს მაინც იგებს. ევროლიგაც იგივე თემაა. იქ "რეალი" პორტუგალიელი პიჟონით ცელქობს. ევროლიგაზე "რეალის" ჯოკერი რუდი ფერნანდესია. უნივერსალი, სწრაფი, გონიერი მსროლელი, რომელიც დგება პირველ ნომერზე, ადის მესამეზე და აგრესიით იღებს ასაღებს. რუდი ბოსია და იქვე ტრიალებენ ლიტველი შუთერი მარტინას პოჩუსი, რუდის ახლობელი სერხიო როდრიგესი და ამერიკელი ჯეისი ქეროლი. აზერბაიჯანის ნაკრებში ქეროლმა რამდენიმე კარგი ტესტი ხია და "რეალშიც" კარგ სტატისტიკას აიღებს. ნიკოლა მიროტიჩში დიდი ნიჭი და სიმშვიდეა. ბიჭი ცოტა უნდა მოთხარონ ნერვებზე, თამაშის წინ "ხერხი" ან "ჰოსტელი" ჩაურთონ. კარლოს სუარესში ესპანეთი დრაჟენ პეტროვიჩს ხედავდა და ბიჭი ვერ გაიზარდა. სუარესი ძაღლივით ზის დაცვაში, იქ ძვლებს ამტვრევს და ცუდი სროლა აქვს. "რეალისთვის" მაინც ტუზია. სერხიო ლული გამოცდილებაა, მარკუს სლოთერის 204 სანტიმეტრი საჭირო ბონუსია და ფელიპე რეიესი ამ "რეალის" ფერნანდო იეროა.

"ფენერბახჩე" ევროლიგის "ჩელსი", "მანჩესტერ სიტია". ბევრი მილიონით წამოღებული ნიჭი, პოპულარული მწვრთნელი და დასაღაგებელი რუსტერი. თურქებმა "სიენას" ელეგანტური მწვრთნელი, სიმონე პიანიჯანი იყიდეს. "ფენერის" მფლობელმა პიანიჯანის ფოტო გაზეთში ნახა, სიმონეს იტალიური ფეისი მოეწონა და შეუკვეთა. პიანიჯანი ჩამოიტანეს. "სიენა" სიმონეს პროექტი იყო და თურქეთში იმ პროექტიდან სამი სერიოზული პერსონაჟი მოდის. იდეაში, უკვე ჩამოვიდა. ბო მაკალები გვახსოვს, ვიცით და პატივს ვცემთ. დევიდ ანდერსენი გვახსოვს, ვიცით და გავიხსენებთ. მისტერ ანდერსენი ელეგანტური კიბორგია. რომეინ საატომ იტალიაში იგულავა, "პანათინაიკოსში" მოსაგები მოიგო და თურქეთში მანგოს წვენს მოწრუპავს, ფახლავას ჩაიყრის, დაისვენებს. "ფენერში", ამ კარგი ბიჭების გარდა, კარგი თურქებიც არიან - ნაკრების ხალხი ომერ ონანი, ბარის ერმისი, ქაია ფექერი, ოგიუზ შავაში და ემირ პრელდჟიჩი. "პანათინაიკოსიდან" დაირტყეს მაიკ ბატისტი. ჩვენი კაცია. ბოიან ბოგდანოვიჩიც საჭიროა. სადღაც ვიღაცას დაასვენებს. "ფენერმა" უნდა აკრიფოს.

ფავორიტების ფავორიტი ისევ ის ძველი გუნდია. რუსული ბანდა, სადაც კირილენკომ და შვედმა ბევრი კარგი მოგონება დატოვეს და "მინესოტაში" გადაფრინდნენ. იქ კევინ ლავი და რიკი რუბიო არიან. იქ კირილენკო საჭირო ელემენტია და შვედმა რუბიოსთან ერთად უნდა დაგლიჯოს ზონები. ევროლიგის პირველი ფავორიტი ცსკა იქნება.

რუსებმა დაიტოვეს სერბული ტვიქსი, მილოშ ტეოდოშიჩი და ნენად კრსტიჩი. ტეოდოშიჩი სერიოზული პერსონაა და იმ ფინალში, "ოლიმპიაკოსთან", რაც უნდა ჩაეგდო, ვერ ჩააგდო. კრსტიჩი ინტელექტით, გამოცდილებით გიგებს და მილოში წინა ცსკაში ცოტა იკარგებოდა. კრსტიჩზე თამაში და კრსტიჩით გაქაჩვა ბონუსია. ამერიკაში სერბს "სან ანტონიომ" დაუძახა და მილოში მოსკოვში დარჩა. ტეოდიშიჩის სადისტური ნიჭი და კრსტიჩის ელეგანტური თამაში ევროლიგის Topთემაა.

"კანტუში" ვლადიმირ მიცოვი იყო მთელი გუნდი. იქ მანუჩარ მარკოიშვილი ჩასაგდებს აგდებდა, სენიორ ბაზილე ცხრა მეტრიდან აფეთქებდა ნაპალმს და მიცოვი გუნდის თვალები, მაჯა, კბილები იყო. "კანტუმ" ლიდერი ვერ შეინარჩუნა და ცსკამ მაგარი კაცი დაირტყა. მაგარი კაცი, რომელიც სერბია. კიდევ ერთი სერბი. და მეოთხე სერბი ზორან ერჩეგია. ცენტრი "გალათასარაიდან" წამოვიდა. ათ წუთამდე მიიღებს.

აარონ ჯექსონი კარგი პირველი ნომერია. იდეაში, უნდა დაასვენოს ტეოდოშიჩი. იდეაში, უნდა აკრიფოს ტეოდოშიჩთან ერთად და თუ ახალი ბოსი ამერიკელს მეორე ნომერზე აწევს, მილოშთან ერთად დახევს დაცვებს. ჯექსონი "ბილბაოდან" წამოიყვანეს. იქ საინტერესო სეზონი ჰქონდა. 9.1 ქულა, 3.9 პასი, რამდენიმე პერსონალური ჰაილაითი. 30 მარტს, ცსკასთან, ჯექსონმა 19 ქულა აიღო. პირადი რეკორდი. აარონი აიყვანეს. მაგარი მუხლები, კარგი საშუალო და თითქმის ბო მაკალებია.

სონი უიმსმა "ტორონტოში" ორი სეზონი მიიღო. პირველ რეგულარულში 7.5 ქულა აიღო. მეორეში - 9.2. უიმსისთვის ნორმალური, რესპექტაბელური სტატისტიკა. ამერიკიდან ბიჭი "ჟალგირისში" მირბის და იქ რჩება. 15.5 ქულა და 5 მოხსნა სოლიდურია. უიმსი ცსკაში 15-20 წუთს მიიღებს. ალბათ, პირველ ხუთეულში იდგება და ალბათ, მალე უნდა აკრიფოს. უიმსი დაცვაში ბულტერიერია.

საჭირო კაცია დრიუ ნიკოლასი. ამერიკელი ბევრს ისვრის, ბევრს ითხოვს (ქეშის ამბავში) და ბევრს ვერ აკეთებს. ცსკაში ნიკოლასს სხვა დატვირთვა ექნება. ამოდი ბლოკიდან, მიიღე და გაუშვი, ხიე. დაივიწყე ბურთის ტარება, დაივიწყე სთრითბოლი და დაივიწყე სხვა ამბები. ნიკოლასი შარშან "არმანიში" იჯდა, დანილო გალინარის

ნენად კრსტიჩი და სონი უიმსი ამ სეზონში ერთ გუნდში ირბენენ

"ბარსელონას" ჭოკერი ხუან კარლოს ნავარო

ნერვებს უშლიდა და 2 მილიონ ევროს იღებდა. ცსკაში უნდა დამშვიდდეს. ცსკა სხვა დონეა.

რუსეთის ნაკრების მთელი ბატალიონი rules. დმიტრი სოკოლოვი კრსტიჩის დუბლიორია. ათ წუთამდე და 4 ქულამდე დადებს. საკმარისია. ალექსეი ზოზულინი უფრო რუსეთის ჩემპიონატში და რუსების თასზე დაიტვირთება და ევროლიგაზე ბიჭს სიმბოლურ დროს აჩუქებენ. კარგი მსროლელი ცუდი დაცვით და არასაკმარისი აგრესიით. ევგენი ვორონოვი დევიდ ბლატის ნდობას იღებს და რუსეთის ნაკრებში პრობლემებს უფრო აგვარებს, ვიდრე - ქმნის. ანტონ პონკრაშოვი ბოლო ოლიმპიადაზე კარგი იყო, მანამდე - ისე რა. პონკრაშოვს თუ წაუვა, წაუვა და სხვა შემთხვევაში ანტონი ბალასტია. ნიჭიერი, ერთმილიონიანი ბალასტი. საშა კაუნი დაცვას მიხედავს. რუსეთში კაუნი სქემებში ზის და იქ ბლატი საშას ასვენებს, არ ასვენებს, ღლის, ასვენებს. გააჩნია, რუსები ვის და სად ეთამაშებიან.

რჩება ორი პერსონა. ერთი თამაშობს და მეორე არ თამაშობს. ერთი რუსია და მეორე - იტალიელი. ერთი არის რუსეთის ნაკრების ხერხემალი, ქარიზმა. მეორე მაფიოზია.

ვიქტორ ხრიაპამ შარშან, ევროლიგაზე, ჩვეულებრივი სტატისტიკა (8.1 ქულა, 4.1 მოხსნა, 3.2 პასი) დასვა. ჩვეულებრივი სტატისტიკა არაჩვეულებრივი, ჭკვიანი, შეუცვლელი ბიჭისგან. ხრიაპამ რუსეთის ნაკრებში ბლატის სქემებში მთავარი ჩიპი მიიღო. კირილენკო იქ უსქემოდ დარბის, მუსტანგია. კირილენკო სქემებზე მეტია და ვიღაცა ამ სქემებში სხვაზე უკეთ უნდა ერკვეოდეს. ბლატის და ცსკას შემთხვევაში, ეს ვიქტორ ხრიაპაა. ბიჭმა თითქმის ყველაფერი მოიგო.

იგებს ოთხი წლის წინ ევროლიგას. შემდეგ სეზონში ევროლიგის პირველ ხუთეულში შედის. იმ სეზონშივე ხრიაპა ევროლიგის საუკეთესო დამცველი, Best Defender გახდა. რუსეთის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონია (2007). იგებს ევრობასკეტის (2011) და ოლიმპიადის (2012) ბრინჯაოს. მშვიდი, წესიერი კაცი, რომელიც ტონს არ უწევს და ელეგანტურად, კლასით გკლავს. ხრიაპა თავის 25 წუთში 10 ქულას, 5 მოხსნას და 3 პასს უპრობლემოდ დატოვებს. ბრუტალური გენიოსი ახალი ბოსის სქემაში.

და ახალი ბოსი ეტორე მესინაა.

იტალიელი "ლეიკერსში" იყო, მაიკ ბრაუნის ასისტენტად, კონსულტანტად გააფორმეს და იდეაში, ეტორე ბრაუნზე მაგარი მწვრთნელია. ბევრად მაგარი. ეტორემ ამერიკიდან რამდენიმე მილიონი დოლარი წამოიღო და უფრო მეტს ცსკაში ჩაურიცხავენ. მესინა მეგატვინია. და ცსკა - ფავორიტი. ფავორიტი ნუმერო უნო. როგორც შარშან...

ამ ევროლიგაზე ჩვენ ჩვენი ინტერესი გვაქვს. გიო შერმადინი "მაკაბიში", დევიდ ბლატთან დგას და შეუბერავს. მანუჩარი "კანტუში" დარჩა და "კანტუ" ევროლიგაზე დარჩა. სად და როგორ გაქაჩავენ, ვნახავთ. "მაკაბი" შეიცვალა და მთავარი ვარსკვლავი, მისტერ ბლატი შეინარჩუნა. დევიდი გუნდის ბლატია. "კანტუსთვის" შემდეგ ეტაპზე გასვლა ცოტა ძნელი იქნება. შარშან გავედით. წელს - ვნახოთ. და ვნახოთ კიდევ ერთი არარეალურად მაგარი ცსკა. უკვე მეგატვინთან, სენიორ მესინასთან ერთად.

ევროლიგა ევრობასკეტის გარჩევებია და ამ ტესტებშიც კარგი ბიჭები არიან. კარგი ბიჭები კარგი CV-თ, მოქნილი აზროვნებით და პიანისტის თითებით. ევროლიგა შარშან "ოლიმპიაკოსმა" მოიგო. მოსკოვის ცსკა იმ ევროლიგის "ლეიკერსი", "მაიამი", "სან ანტონიო", ჯონ რემბო იყო. და "ოლიმპიაკოსმა" ანდრეი კირილენკოს, ალექსეი შვედის და კიდევ ბევრი პოპულარული მილიონერის ბანდა ბოლო მეოთხედში გააჩერა. ახალ ევროლიგას თავისი ფავორიტები ჰყავს. ტურნირი 11 ოქტომბერს გაიხსნება.

A ჯგუფი: ხიმკი (რუსეთი), ფენერბახჩე (თურქეთი), კანტუ (იტალია), ოლიმპია (სლოვენია), რეალი (ესპანეთი), პანათინაიკოსი (საბერძნეთი).

B ჯგუფი: ალბა (გერმანია), უნიკახა (ესპანეთი), სიენა (იტალია), მაკაბი (ისრაელი), შალონი (საფრანგეთი), პროკომი (პოლონეთი).

C ჯგუფი: ჟალგირისი (ლიტვა), ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), არმანი (იტალია), ჩედევიტა (ხორვატია), კახა ლაბორალი (ესპანეთი).

D ჯგუფი: პარტიზანი (სერბეთი), ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა), ბარსელონა (ესპანეთი), ბროზე (გერმანია), ბეშიქთაში (თურქეთი), ცსკა (რუსეთი).

ნაკრები ემზადება

პირველი გვერდიდან

ქეცბაიამ შემადგენლობა დაასახელა

თუ საქართველოს ნაკრების შესაძლებლობებს რეალურად შევაფასებთ, ცხადია, ესპანეთთან და საფრანგეთთან პირველი-მეორე ადგილებისთვის ბრძოლა შეუსრულებელი მისიაა, მესამე ადგილისთვის ფინეთთან და ბელარუსთან ჭიდილი კი სრულიად რეალურია. ჯგუფში მესამე ადგილის დაკავება რეიტინგს გაგვიუმჯობესებს და ევრო 2016-ის შესარჩევი ციკლის წილისყრისას კარგ კალათაში მოვხვდებით. მოკლედ, ამ ორ მატჩზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

მომავალ ორ მატჩში საქართველოს ნაკრებს ვერ დაეხმარება გორის "დილას" მცველი დავით კვირკველია. მის ნაცვლად ქეცბაიამ ნაკრებში უხმო "მეტალურგის" მცველ ირაკლი მაისურაძეს. მომავალ მატჩებში ვერც თბილისის "დინამოს" მეკარე, საქართველო-ესპანეთის მატჩის გმირი გიორგი ლორია ითამაშებს. სამაგიეროდ ბრუნდება ნუკრი რევიშვილი, რომელმაც ტრავმის გამო წინა ორი მატჩი გამოტოვა.

ეროვნული გუნდი ჰელსინკში გუშინ შეიკრიბა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები: ნუკრი რევიშვილი ("კრასნოდარი", რუსეთი), როინ კვასხვაძე ("ზესტაფონი"), ომარ მიგინეიშვილი ("ტორპედო");

მცველები: უჩა ლობჟანიძე ("კრივბასი", უკრაინა), აკაკი ხუბუტია ("გაზ მეთანი", რუმინეთი), გურამ კაშია ("ვიტესი", ჰოლანდია), ზურაბ ხიზანიშვილი ("ქაისერისფორი", თურქეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი ("კრასნოდარი", რუსეთი), გიორგი ფოფხაძე ("ბაქი", აზერბაიჯანი), გია გრიგალავა ("ვოლგა", რუსეთი), გულვერდ თომაშვილი ("დილა");

ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი ("კარპატი", უკრაინა), ირაკლი მაისურაძე ("მეტალურგი"), თორნიკე ოქრიაშვილი ("ილიჩივეცი", უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე ("არსენალი", უკრაინა), დავით თარგამაძე ("ილიჩივეცი", უკრაინა), ჯაბა კანკავა ("დნიპრო", უკრაინა), ლევან ყენია ("კარპატი", უკრაინა), ნიკა ძალამიძე ("იაგელონია", პოლონეთი), ჯანო ანანიძე ("სპარტაკი" მოსკოვი, რუსეთი), ალექსანდრე გურული ("დილა"), დავით დევდარიანი ("ორჰუსი", დანია);

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე ("ემპოლი", იტალია), ირაკლი სირბილაძე ("ინტერი", ფინეთი).

ფინეთი-საქართველოს მატჩი 12 ოქტომბერს ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება და თბილისის დროით 20:30 საათზე დაიწყება.

ქართული ლეგიონის ამბები

ცინცაძემ უკრაინაში საუკეთესო მატჩი გამართა

ევროპულ ქვეყნებში დაიწყო საკალათბურთო ჩემპიონატები, რომელშიც უცხოეთში მოთამაშე ქართველი ლეგიონერებიც ჩაერთვნენ. მალე სტარტს აიღებს NBA-ს რეგულარული სეზონი და ქართული საკალათბურთო ლეგიონის მოღვაწეობა კიდევ უფრო აქტუალური გახდება.

საუბარი ევროპით დავიწყოთ. გასული უქმეები საქართველოს ნაკრების კალათბურთელებისYთვის ურიგო არ ყოფილა.

ეროვნული ნაკრების გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ თავის ახალ გუნდ

"ბუდეველნიკში" საუკეთესო მატჩი გამართა. საქართველოს ეროვნულის "ბუმ" უკრაინის ჩემპიონატის მორიგ ტურში 11 ქულა, 4 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველმა უკანახაზელმა ეს შედეგი მესამე ტურამდე სუპერლიგის ერთ-ერთი ლიდერ "ხიმიკთან" აჩვენა.

ამ მატჩში ცინცაძე პირველად გამოჩნდა თავისი გუნდის ძირითად ხუთეულში.

საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა 25 წუთს ითამაშა და 7 ორქულიანიდან 4 ორიანი ჩააგდო, 4 საჯარიმოდან კი სამი გამოიყენა. ცინცაძე კიეველთა შორის შედეგიანობით მეორე იყო. მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა ბუდეველნიკელი მალკოლმ დილეინი, რომელმაც 29 ქულა მოაგროვა.

რაც შეეხება მატჩის შედეგს, ის "ბუდეველნიკის" გამარჯვებით, ანგარიშით 77:71 დასრულდა და ცინცაძის გუნდი ისევ დაუმარცხებელია. კიეველთა მსგავსად, დაუმარცხებელია და სამი მოგება აქვს "ფეროს". უკრაინის სუპერლიგას სწორედ ეს ორი გუნდი ლიდერობს. მომდევნო მატჩს "ბუდეველნიკი" 12 ოქტომბერს "გოვერლასთან" გამართავს.

სასიამოვნო ინფორმაცია მივიღეთ ესპანეთიდან, სადაც 18 წლის ბექა ბურჯანაძე ასპარეზობს. ახალგაზრდა ქართველმა კალათბურთელმა

"კახასოლის" შემადგენლობაში კარიერის ყველაზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მატჩი ჩაატარა. მეორე ტურის მატჩში "კახასოლი" სტუმრად შეხვდა "კახა ლაბორალს" და 70:90 დამარცხდა.

ბექამ 15,51 წუთს ითამაშა. ქართველი ფორვარდი აქტიური იყო და მატჩი 7 ქულითა და 4 მოხსნით დაამთავრა.

2-დან 2 მარცხით "კახასოლი" აუტსაიდერებშია. პრიმერადივიზიონში მორიგ შეხვედრას ბურჯანაძის გუნდი კვლავ სტუმრად, "ესტუდიანტესთან" გამართავს.

წარმატებულ თამაშს აგრძელებს იტალიის ჩემპიონატში მანუჩარ მარკოიშვილის "კანტუ", რომელსაც ორი ტურის შემდეგ ორი გამარჯვება აქვს. მეორე ტურში "კანტუ" სტუმრად რომაულ "ვირტუსს" შეხვდა და ანგარიშით 84:70 გაიმარჯვა.

სამი თანაბარი მეოთხედის შემდეგ სტუმრებმა ბოლო პერიოდში იძალეს. გადამწყვეტი ათწუთიანი კანტუელებმა 26:14 მოიგეს და მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტეს. ქართველმა ლეგიონერმა მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 19 წუთი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მანუჩარმა 5 ქულა, 1 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მან 4-დან 2 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

მომდევნო ტურში მარკოიშვილის გუნდი "დინამო სასარის" დაუპირისპირდება. მატჩი 13 ოქტომბერს გაიმართება.

რაც შეეხება NBA-ს, იქ საგამოფენო მატჩები დაიწყო. ზაზა ფაჩულია საზარდულის ტრავმის გამო კვლავ უქმობს - მან "ატლანტასა" და "მაიამის" მატჩი გამოტოვა.

"ატლანტამ" ჩემპიონი დაამარცხა, მაგრამ შედეგს ასეთ მატჩებში ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა. ეს არის ახალბედების გუნდთან შეთამაშებისა და ლიდერების სიჩქარის ასაკრეფი, გასახურებელი მატჩები. "ატლანტამ" შეხვედრა 92:79 მოიგო. საუკეთესოები კი გახდნენ: "მაიამიდან" 22 ქულის ამღები კრის ბოში, ხოლო "ატლანტადან" - 21-ქულიანი ჯოშ სმიტი.

ფაჩულია ტრავმამ ჩემპიონთან არ მიუშვა

ზაზა ფაჩულია კლავ ტრავმირებულია. საზარდულის ტკივილის გამო მან სეზონის პირველი საგამოფენო მატჩი გამოტოვა. ტრავმა სავარაუდოდ სერიოზული არ არის, მასზე აქამდე ცალკე არ იტყობინებოდნენ ამერიკული გამოცემები, უბრალოდ, მატჩის სპეციფიკისგან გამომდინარე მწვრთნელებმა არ გარისკეს ქართველი ფორვარდის მოედანზე გაყვანა.

არადა, "ატლანტა" ვის ვის და ნბა-ს მოქმედ ჩემპიონ "მაიამის" შეხვდა. ფლორიდელებს დიდი სამეულიდან მხოლოდ დუეინ უეიდი აკლდათ, თუმცა მოედანზე იყო კიდევ ერთი დიდი გამოცდილების ვარსკვლავი, "მაიამიში" "ბოსტონიდან" გადასული რეი ალენი, რომელმაც ლებრონ ჯეიმსის დარად 10 ქულა მიითვალა, მაგრამ ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

"ატლანტამ" ჩემპიონი დაამარცხა, მაგრამ შედეგს ასეთ მატჩებში ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა. ესაა ახალბედების გუნდთან შეთამაშებისა და ლიდერების სიჩქარის ასაკრეფი, გასახურებელი მატჩები. "ატლანტამ" შეხვედრა მოიგო 92:79, საუკეთესოები კი გახდნენ: "მაიამიდან" 22 ქულის ამღები კრის ბოში, ხოლო "ატლანტადან" 21-ქულიანი ჯოშ სმიტი.

მომდევნო საგამოფენო მატჩი ატლანტელებს 11 ოქტომბერს სან ანტონიოში ელით.

ბელორუსის შემადგენლობა ცნობილია

ბელორუსის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა იმ ფეხბურთელთა ვინაობა დაასახელა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მომდევნო ორ მატჩში. შეგახსენებთ, ბელორუსები 12 ოქტომბერს ესპანელებს დაუპირისპირდებიან, 16-ში კი საქართველოს ნაკრებს უმასპინძლებენ. მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრებმა თბილისში ბელორუსის დამარცხება შესძლო.

ბელორუსის ნაკრების სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარები: სერგეი ვერემკო ("კრილია სოვეტოვი"), ალექსანდრ გუტორი ("ბატე"), ანტონ ამელჩენკო ("ტერეკი")

მცველები: მაქსიმ ბორდაჩევი, ეგორ ფილიპენკო, დენის პოლიაკოვი, ალექსანდ პავლოვი (ყველა "ბატე"), დმიტრი ვერხოვცოვი ("კრილია სოვეტივი"), ალექსანდრ მარტინოვიჩი ("კრასნოდარი"), პაველ პლასკონი ("დინამო" მინსკი), იგორ შიტოვი ("მორდოვია")

ნახევარმცველები: სერგეი ბელანოვიჩი ("შახტარი", სოლიგორსკი), ალექსანდრ ჰლები, რენან ბრესანი, ალექსანდრ ვოლოდკო (ყველა "ბატე"), სტანისლავ დრაგუნი, ვიტალი ტრუბილო (ორივე "დინამო" მინსკი), სერგეი კისლიაკი ("კრასნოდარი"), იან ტიგორევი ("ლოკომოტივი"), ილია ალექსიევიჩი ("გომელი"), ანდრეი ჩუხლეი ("ურალი")

თავდამსხმელი: ვიტალი რადიონოვი ("ბატე")

როგორც ხედავთ ბელარუსის ნაკრების საბაზო გუნდად "ბატე" მოგვევლინა. ამ გუნდის შესახებ კი იმის თქმა შეიძლება, რომ წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის აღმოჩენად იქცა. ჯგუფურ ტურნირში "ბატემ" ორი მატჩი გამართა, პირველში ფრანგული "ლილი" დაამარცხა, მეორეში კი მიუნხენის "ბაიერნი".

"მანჩესტერი" და "რეალი" ყველაზე მეტ მაისურს ყიდიან

ჩატარებული კვლევების თანახმად მსოფლიოში ყველაზე მეტ მაისურს "მანჩესტერ იუნაიტედი" და მადრიდის "რეალი" ყიდიან.

გასული 5 წლის განმავლობაში ამ ორი კლუბიდან თითოეული წელიწადში საშუალოდ 1.4 მილიონ მაისურს ჰყიდდა (ცხადია საუბარია მხოლოდ კლუბის ოფიციალურ მაისურებზე და არა ბრაკონიერულ ნაწარმზე). "მანჩესტერის" მაისურებს კომპანია Nike აწარმოებს, "რეალისას" კი Adidas.

მესამე ადგილზე კატალონიური "ბარსელონაა", რომელიც საშუალოდ წელიწადში 1.15 მილიონ მაისურს ყიდის.

ტოპ ათეული კი ასე გამოიყურება.

1."მანჩესტერი" .....1.4 მილიონი
1."რეალი".....1.4 მილიონი
3."ბარსელონა" 1.15
4."ჩელსი".....910 000
5."ბაიერნი".....880 000
6."ლივერპული" 810 000
7."არსენალი" 800 000
8."იუვენტუსი" 480 000
9."ინტერი".....425 000
10."მილანი" 325 000

სამართლიანი შედეგი

მადრიდის "რეალის" ლეგენდარულმა ფეხბურთელმა რაულმა აღნიშნა, რომ "კლასიკოს" შედეგი სამართლიანია.

"რა თქმა უნდა, მერჩივნა, რომ "რეალს" მოეგო და "ბარსელონასთან" ჩამორჩენა შეემცირებინა, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ფრე სამართლიანი შედეგი იყო. გამარჯვებას

არც ერთი გუნდი არ იმსახურებდა ან უფრო სწორი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ გუნდები მარცხს არ იმსახურებდნენ. რაც შეეხება ესპანეთის ჩემპიონატს, იგი მხოლოდ ახლა დაიწყო და ტიტულისთვის ბრძოლა ჯერ ბოლომდე არც გახურებულა", - აცხადებს რაული.

შეგახსენებთ, მიმდინარე სეზონში ესპანური პრიმერას პირველ "კლასიკოს" "ბარსელონამ" უმასპინძლა და შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა. გოლები მხოლოდ მესიმ და კრიშტიანუ რონალდუმ გაიტანეს.

"ფერარის" ბედი "ფერარიშია"

გიგა გურასაშვილი



დარჩენილ ხუთ ეტაპზე სრულიად "ფერარი" ალონსოზე იმუშავებს

იაპონიის დიდი პრიზის მოგებით მსოფლიოს ჩემპიონმა, რედბულელმა სებასტიან ფეტელმა სამეფო რბოლათა მიმდინარე სეზონში მესამე, კარიერაში კი 24-ე გამარჯვება იზეიმა. გერმანელი მრბოლი პირველია, რომელმაც წლეულს ზედიზედ მეორედ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ჩემპიონთა დავაში პირველ საფეხურზე მყოფ ფერნანდო ალონსოსთან კი 4 ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა. ჩემპიონატის ლიდერი ესპანელი კი კიმი რაიკონენის "ლოტუსთან" კონტაქტისა და გახეთქილი საბურავის გამო იძლებული გახდა, სტარტიდან პირველივე მოსახვევში დაემთავრებინა ასპარეზობა.

ერთი სიტყვით, ფორმულა 1-ის ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ეტაპით ადრე ტიტულისთვის ბრძოლა ფაქტობრივად განახლდა.

იაპონიის დიდ პრიზზე ფერნანდო ალონსოს უქულოდ დარჩენამ ეჭვქვეშ დააყენა მისი მხრიდან მორიგი ტიტულის მოგება, ტიტულისა, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობდნენ მარანელოში - სკუდერიელთა საჯინიბოში. მიუხედავად იმისა, რომ "ფერარის" მრბოლმა თითქმის გაანიავა ყველანაირი უპირატესობა, "ფერარის" პრეზიდენტს, ლუკა დი მონტეძემოლოს სჯერა, რომ მსოფლიო ჩემპიონობის ბედი მათ ხელთაა.

"დადგა დრო, როცა მინდა დავრწმუნდე, რომ "ფერარის" გუნდი რჩება ისეთად, როგორსაც აქამდე ვიცნობდი. მან უნდა შეინარჩუნოს თვითმყოფადობა და შეძლოს ფოკუსირება დასახულ მიზნებზე. ფერნანდოს დავუკავშირდები, რათა მივცე ის მოტივაცია, რომელიც აუცილებელია სეზონის დარჩენილი ხუთი ეტაპისთვის. მჯერა, გუნდი შეძლებს თავი გაართვას მისთვის დაკისრებულ მოვალეობას.

ვიცით, რომ ტიტულის ბედი ჩვენს ხელთაა. შეგვიძლია დღეისთვის საუკეთესო მრბოლელის იმედი გვქონდეს. სხვა მრბოლელების მხრიდან "სპაზე" (ბელგიის დიდი პრიზი) და "სუძუკაზე" (იაპონიის დიდი პრიზი) დაშვებულმა შეცდომებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ ალონსოს არა აქვს კომფორტული უპირატესობა. არ უნდა დაგვავიწყდეს, ის ორი შეჯახება რომ არა, ფერნანდოს ახლა 30 ქულით მეტი ექნებოდა. ესეც მოკრძალებული შეფასებაა", - დი მონტეძემოლოს ციტირებს "ფერარის" პრესსამსახური.

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა არტანუჯი

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე